CIAN MAGENTA YALLOW BLACK
D:\ალია\11\123\მამა-ბასილი–986.ტიფ

# ალია

## რატომ დატოვა „ენდიაის“ შეფმა, ლუის ნავარომ საქართველო საიდუმლოდ?




N123/3053/ 26 აგვისტო 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა
სამშაბათი ალია
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რა ხდება სინამდვილეში „კაზანტიპის“ ფესტივალზე?



## 15 სექტემბრიდან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით აქტიური მოქმედებები იწყება

# ხელისუფლებამ მამა ბასილის ორჯერ არ მოუსმინა და დარიალში მეწყერი ორჯერ ჩამოწვა

## რაზე აფრთხილებს მოძღვარი მთავრობას მესამედ?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ენ-დი-აი“-ს კვლევის შედეგები

„ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით მოსახლეობის 70-დან 80%-მდე მიიჩნევს, რომ კომუნალური ხარჯების, გზების, გაზის, მათ შორის სამედიცინო მომსახურებისა და ტრანსპორტის ღირებულების თვალსაზრისით 2012 წლის ოქტომბერთან შედარებით, არაფერი შეცვლილა. მხოლოდ 11% ამბობს, რომ კომუნალური ღირებულების კუთხით არის გაუმჯობესება, 18% გზებს ასახელებს, ხოლო 14% მიიჩნევს, რომ გაზმომარაგება გაუმჯობესდა. 16% სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებით არის კმაყოფილი, ხოლო 4% ტრანსპორტის ღირებულებას ასახელებს.

გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ საქართველოში სამუშაო ადგილების თვალსაზრისით მდგომარეობა არ შეცვლილა, 5%-ის აზრით, გაუმჯობესდა, 22% კი თვლის, რომ გაუარესდა.

სიღარიბის თვალსაზრისით – 5%-ის აზრით, სიტუაცია გაუმჯობესდა, 65% მიიჩნევს, რომ არ შეცვლილა, 28% კი თვლის, რომ გაუარესდა.

ტერიტორიული მთლიანობა – გამოკითხულთა 4%-ისთვის მდგომარეობა გაუმჯობესდა, 82%-ისთვის უცვლელი დარჩა, 12%-ისთვის კი გაუარესდა.

პენსიების გაცემის კუთხით – 27%-ისთვის გაუმჯობესდა, 64%-ისთვის არ შეცვლილა, 3%-ისთვის კი გაუარესდა.

გამოკითხულთა 21%-ისთვის რუსეთთან ურთიერთობა გაუმჯობესდა, 68%-ისთვის არ შეცვლილა, 7%-ის აზრით კი გაუარესდა.

გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ საქართველოში სიტყვის თავისუფლების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდა, 54%-ისთვის არ შეცვლილა, 5%-ისთვის კი გაუარესდა.

საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგარ მთავარ დაბრკოლებად აპრილში გამოკითხულ რესპონდენტთა 38% მაღალ გადასახადებს ასახელებს, ხოლო ეს ციფრი აგვისტოში 30%-მდე ჩამოვიდა. მეორე პრობლემად გამოკითხულთა 29% საწვავზე მაღალ ფასებს ასახელებს, ხოლო 24% შეჩერებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, 20% ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ხელისუფლების არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკაა.

ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიმღებ პირად ყოფნას უარყოფითად აფასებს რესპონდენტთა 53%, ამართლებს 36%, 10%-მა არ იცის, პასუხი არ აქვს მხოლოდ 1%-ს.

თავად იმ მოსაზრებას, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღები პირია, ეთანხმება 24, ხოლო სრულად ეთანხმება 26%.

კვლევის მიხედვით, 37%-ის აზრით, საქართველო ძირითადად სწორი მიმართულებით ვითარდება, 38%-ის აზრით, საერთოდ არ იცვლება.

„ენ-დი-აი“-ს აგვისტოს კვლევის საველე სამუშაოები მიმდინარე წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე პერიოდში ჩატარდა. კვლევის ფარგლებში 3 338 რესპონდენტი გამოიკითხა. (ნიუპოსტი)

## საქართველოს ევროკავშირისგან შეტყობინება არ მიუღია



საქართველოს პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, ევროპელი მწარმოებლების პროდუქციის ჩანაცვლებისგან თავშეკავების თაობაზე საქართველოს ევროკავშირისგან შეტყობინება არ მიუღია:

„საქართველოს ევროკავშირისგან მსგავსი შეტყობინება არ მიუღია. ეს ეხება მსხვილ ექსპორტიორებს, საქართველო არ არის მსხვილ ექსპორტიორთა შორის, შესაბამისად, ეს ჩვენს ქვეყანაზე არ აისახება. ჩვენ უნდა ვიყოთ დაინტერესებული, რომ ჩვენი მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქცია გავყიდოთ ყველგან, მაქსიმალურად უნდა მოვახდინოთ ბაზრის დივერსიფიკაცია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)

## ქუთაისში ავარიის შედეგად 2 ადამიანი მძიმედ დაშავდა




ქუთაისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ორი ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი მძიმედ დაშავდა.

შემთხვევა პარლამენტის შენობასთან, აბაშიძის გამზირზე მოხდა. ერთმანეთს „მერსედესის“, „მიცუბიშისა“ და „ჟიგულის“ მარკის მსუბუქი ავტომობილები შეეჯახა.

თვითმხილველების განცხადებით, „მერსედესის“ მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მანქანას დაეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო დახმარებამ ქუთაისის კატასტროფის ცენტრში გადაიყვანა. (ნიუპოსტი)

## ბაღებიდან განთავისუფლებული პედაგოგები ნარმანიას დახმარებას სთხოვენ



თბილისის მერიასა და გამგეობებში მოქალაქეთა მორიგი მიღება გაიმართა. 600-მდე მოქალაქეს მათთვის აქტუალურ საკითხებზე თბილისის მერი, მერის მოადგილეები, საქალაქო სამსახურის უფროსები და რაიონების გამგებლები შეხვდნენ.

თბილისელები ძირითადად სოციალური პრობლემების მოგვარებას, მკურნალობისა და სწავლის დაფინანსებას, ასევე, საცხოვრებელი ფართების გამოყოფას, მოწესრიგებას და დაკანონებას ითხოვენ.

დავით ნარმანია 2007 წელს საბავშვო ბაღებიდან განთავისუფლებულ პედაგოგთა ჯგუფსაც შეხვდა. პედაგოგები სამსახურიდან განთავისუფლების პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობენ და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. თბილისის მერი მათ დახმარებას დაჰპირდა. ნარმანიას თქმით, მერია თბილისში დამატებით ბაღების აშენებას გეგმავს.

მოქალაქეთა მიღება ყოველ ორშაბათს 14-დან 18 საათამდე მიმდინარეობს. მიღების წესის მიხედვით, თითოეულ თბილისელს შესაძლებლობა აქვს, პრობლემატიკის მიხედვით, დედაქალაქის მთავრობის წევრებს შეხვდეს და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები გააცნოს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სოლიდარობის ფონდი განაცხადების მიღებას იწყებს



პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილმა სოლიდარობის ფონდმა მოსამზადებელი ეტაპი და საჯარო უწყებებში შეხვედრები დაასრულა და დღეიდან განაცხადების მიღებას იწყებს.

ფონდის მიზნებსა და კონცეფციაზე დეტალური ინფორმაცია საჯარო მოხელეებს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ და სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელმა მარიამ ჯაშმა ერთი თვის განმავლობაში 50-მდე შეხვედრაზე მიაწოდეს.

სოლიდარობის ფონდში ნებაყოფლობით დონაციის სურვილი საჯარო სექტორში 20 ათასმა ადამიანმა გამოხატა. ფონდში პირველი შენატანები მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა განახორციელეს. სოლიდარობის ფონდში, რომლის მთავარი ლოზუნგია „სიკეთე გადამდებია“, თანხას ყოველთვიურად საკუთარი ხელფასიდან რიცხავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

სოლიდარობის ფონდი დღეიდან იღებს განაცხადებს, ერთი მხრივ, დონაციის მსურველთაგან, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანებისგან, ვისაც დახმარება სჭირდება.

ფონდი პირველ ეტაპზე მიიღებს და განიხილავს 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეების მქონე ბავშვების კანონიერი წარმომადგენლების განცხადებებს; ფინანსური რესურსების მობილიზაციის მზარდი ტენდენციის პარალელურად ფონდი 2014 წლის პირველ ოქტომბრამდე დამატებით გამოაქვეყნებს განაცხადს 18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური დაავადებების დასაფინანსებლად, ხოლო 2014 წლის პირველ დეკემბრამდე 19-21 წლის ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციართა შესაძლო დაფინანსების თაობაზე.

პრემიერის აპარატი საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს:

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ფინანსური დახმარების მაძიებელთა (18 წლამდე ასაკის ონკოლოგიურ პაციენტთა) აპლიკაციისთვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენა: პაციენტის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (დაბადების მოწმობა პ/ნ მითითებით, პასპორტი, 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში – მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები); პაციენტის ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100), რომელშიც მითითებულია დიაგნოზი და რეკომენდაციები გასატარებელ სამკურნალო და დამატებით დიაგნოსტიკურ ღონისძიებებზე; საქართველოში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ პაციენტისთვის მისაწოდებელი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა (ანგარიშფაქტურა, ინვოისი) შესაბამისი ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით დამტკიცებული; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა/წერილი, რომელშიც მითითებულია პაციენტისთვის ფორმა №100-ით რეკომენდებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიებების, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებითა და „რეფერალური კომისიის“ მიერ დამტკიცებული დაფინანსების ოდენობა ან დასაბუთებული უარი დაფინანსების მოთხოვნაზე; პაციენტის ან პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის, მეურვის) განცხადება, რომელიც აჯამებს პაციენტისთვის ფორმა №100-ით რეკომენდებულ სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიებებს, აღნიშნული ღონისძიებების ჩასატარებლად პროვაიდერი კლინიკის ან საავფთიაქო დაწესებულების მიერ ანგარიშფაქტურაში მითითებულ საერთო თანხას, პაციენტისთვის ხელმისაწვდომ თანხას (ჯანდაცვის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების/მუნიციპალიტეტისა და სხვა საქველმოქმედო ფონდების მიერ გამოყოფილ თანხებს წყაროების მითითებით) და რეკომენდებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად არსებულ ფინანსურ დეფიციტს; საზღვარგარეთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დასაფინანსებლად განცხადებას უნდა ერთვოდეს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტის მიერ გაცემული ცნობა, რომ აღნიშნული ღონისძიების ჩატარება საქართველოს ფარგლებში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში ვერ ტარდება და, ამასთანავე, ცნობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაზე მოქმედი „რეფერალური კომისიის“ სამდივნოდან სახელმწიფოს მიერ აღნიშნული პაციენტისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (10,000 ევროს ლიმიტამდე) თაობაზე; განცხადებებს ასევე უნდა ერთვოდეს: ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური სამსახურების მიერ გაცემული ცნობა პაციენტისთვის ფორმა №100-ით რეკომენდებულ სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიებების თანადაფინანსების თაობაზე (როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გადაწყვეტილებები); საქართველოში ონკოლოგიურ პაციენტთა დასახმარებლად მოქმედი ფონდების მიერ გაცემული ანალოგიური ცნობები – პაციენტისთვის ფორმა №100-ით რეკომენდებულ სადიაგნოსტიკო-სამკურნალო ღონისძიებების თანადაფინანსების თაობაზე (როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გადაწყვეტილებები). 2015 წლის 1-ელ იანვრამდე რეკომენდებულია „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდისა“ და „ბერი ანდრიას ფონდის“ ცნობების წარმოდგენა. საქართველოს სოლიდარობის ფონდი რეგულარულად გადახედავს და გამოაქვეყნებს დამატებით ინფორმაციას ანალოგიური ფონდების შესახებ; თუკი პაციენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ვერ წარმოადგენენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ზემოაღნიშნული ფონდების წერილობით დასტურს თანადაფინანსების თაობაზე, საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი გუნდი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პაციენტის დოკუმენტაციის განხილვამდე უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებასა და დოკუმენტაციას.

2014 წლის პირველ დეკემბრამდე განცხადებები შესაბამისი დოკუმენტაციით მიიღება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კანცელარიის საშუალებით, რომელიც შესაბამის აპლიკაციას გადაამისამართებს საქართველოს სოლიდარობის ფონდის ოფისში. დოკუმენტების წარმოდგენა, ასევე შესაძლებელი იქნება საქართველოს სოლიდარობის ფონდის ელექტრონული ფოსტის მისამართზე solidarity@geo.gov.ge.

საქართველოს სოლიდარობის ფონდის მთავარი მიზანია კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგომი პაციენტებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა; პირველ ეტაპზე ფონდი ორიენტირებული იქნება ონკოლოგიურ პაციენტთა მხარდასაჭერად. ფონდი მიიღებს განცხადებებს 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეების მქონე ბავშვთა მხარდასაჭერად, რაც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შესაბამისი ექსპერტული დასკვნის საფუძველზე საზღვარგარეთ ონკოქირურგიულ ოპერაციებს, რომელიც არ ტარდება საქართველოში (მაგ. ოსტეოსარკომების შემთხვევაში) მგზავრობის (ტრანსპორტირების) ხარჯების ჩათვლით; საყოველთაო ჯანდაცვის წლიური ლიმიტების ფარგლებს გარეთ განმეორებით მაღალტექნოლოგიურ კვლევებს (CT, MRI); საყოველთაო ჯანდაცვის წლიური ლიმიტებისა და სატარიფო არეალის ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ქიმიოთერაპიის თანადაფინანსებას; საზღვარგარეთ სადიაგნოსტიკოდ პაციენტის მონაცემებისა და მასალების გადაგზავნასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს. (ფრონტნიუსი)

## დარიალის საბაჟოზე ზარალი 1-3 მილიონია



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, დარიალის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად, ზარალი ერთიდან სამ მილიონამდეა. საბოლოო მონაცემები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

„სამი ნაგებობიდან ორი ხრეშითა და ქვიშით იყო დაფარული. მათი გაწმენდა მიმდინარეობს. დაზიანებულია ხელბარგის სკანერი, ასევე, დაზიანებულია საკმაოდ ძვირადღირებული სასწორი, რომელიც სატვირთო მანქანების ასაწონად გამოიყენება. რაც შეეხება სკანერს, მიმდინარეობს მისი ტესტირება და ორ-სამ დღეში გვეცოდინება, არის თუ არა დაზიანებული. სკანერის გარეშე ზარალი მილიონი დოლარია. თუ სკანერიც დაზიანებულია, მაშინ მარტო საბაჟოზე დაახლოებით 3 მილიონის ზარალი გვექნება“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




# ვის ზეწოლას ვერ გაუძლო და რა დავალება შეასრულებინეს პრეზიდენტ მარგველაშვილს?

რაც დრო გადის, მით უფრო თვალშისაცემი ხდება, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და „ნაციონალები“ ერთ დუდუკზე უკრავენ. მარგველაშვილმა გადაწყვიტა, უშიშროების საბჭოში, მინისტრების გარდა, პარლამენტარებიც შეიყვანოს, ამით გააძლიეროს და რაც მთავარია, ირაკლი ღარიბაშვილს წინააღმდეგობა გაუწიოს. კულუარული ინფორმაციის თანახმად, თუ მარგველაშვილმა ასე განაგრძო, ღარიბაშვილს გადაწყვეტილი აქვს, იმპიჩმენტი მოუწყოს და საპრეზიდენტო პოსტს საერთოდ ჩამოაშოროს. პრინციპში, ეს თეორიული მუქარა უფრო გამოდის, რადგან იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის გადაყენება არ გახლავთ იოლი საქმე — თუ მან არ დაარღვია კონსტიტუცია, ან არ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, დეპუტატთა ერთი მესამედი ვერ წამოიწყებს იმპიჩმენტის პროცედურას. გარდა ამისა, საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომელიც ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ხელშია.

რა ხდება პრეზიდენტ მარგველაშვილის თავს, ამაზე „ალიას“ უშიშროების ყოფილი მინისტრი, **ვალერი ხაბურძანია** ესაუბრება:

**— ბატონო ვალერი, შევარდნაძის დროს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა ცხონებული საჯაია, რომელიც ითვლებოდა რუხ კარდინალად მთავრობაში და ამ ადამიანზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ამ საქმეს გიგა ბოკერია უძღვებოდა, მაგრამ მას საქართველოს გარეთ ლობისტურ კომპანიებთან და ოდიოზურ პოლიტიკურ ფიგურებთან ფულის ენაზე ლაპარაკი უფრო ევალებოდა, ვიდრე ქვეყნის უშიშროებაზე ზრუნვა. ახლა მარგველაშვილმა წამოიწყო ლაპარაკი, დასუსტებული უშიშროების საბჭო უნდა გავაძლიეროთ და ამ საბჭოში არა მხოლოდ მინისტრები, არამედ პარლამენტარებიც უნდა შევიყვანოთ. როგორც ამ საქმეში გამოცდილმა ადამიანმა, იქნებ აგვიხსნათ, რა თამაში წამოიწყო დღევანდელმა პრეზიდენტმა?**

– მოდი, დავიწყოთ იმით, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკებში უშიშროების საბჭოების მნიშვნელობა განისაზღვრება პიროვნებების შესაბამისად. მაგალითად, დღეს ძალიან ბევრმა არ იცის, ვინ არის ამერიკის უშიშროების საბჭოს მდივანი.

**— ამჟამად ამერიკის უშიშროების საბჭოს მდივანი არის ტომ დონილონი.**

– კი, შეიძლება გვარი ცნობილია, მაგრამ თვითონ პიროვნება არ არის ასეთი, რომ ჩანდეს, მაგრამ იყო პერიოდები, როცა უშიშროების საბჭოს მდივნები ქუხდნენ და ჩანდნენ. ასე იყო საქართველოშიც, ნუგზარ საჯაია ჩანდა, მერე თედო ჯაფარიძე მოიყვანეს და, ალბათ, არ ეწყინება, მან უშიშროების საბჭო დაასუსტა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დანამატად აქცია. რაც შეეხება სააკაშვილის დროს, ეს ორგანო შიდა საქმიანობაში ნაკლებად ერეოდა, ფაქტობრივად, ლობისტური ფირმა იყო. თუმცა ბოკერიას გამო ავტორიტეტი მაინც ჰქონდა. აი, რაც დღეს ხდება, ეს არის კონსტიტუციური მარაზმი, ამჯერად უშიშროების საბჭო იქცა ზედმეტ ორგანოდ, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობიდან გამომდინარე. ქვეყანაში პირველი პირი არის პრემიერ-მინისტრი, ასე გააკეთა წინა ხელისუფლებამ, მაგრამ არ შეიტანა კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები, რაც პრეზიდენტსაც გახდიდა მნიშვნელოვან ფიგურად სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაგალითად, დღეს, მშვიდობიან პერიოდში მთელი მინისტრთა კაბინეტი, მათ შორის, თავდაცვის მინისტრი ემორჩილება პრემიერ-მინისტრს... ღმერთმა დაგვიფაროს, დავუშვათ, დაიწყო ომი, ამ დროს პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და მის ხელში გადადის თავდაცვის სამინისტროც თავის მინისტრიანად. ესე იგი, მშვიდობიან პერიოდში მარგველაშვილი გაგებაში არ არის, რა ხდება ქართულ ჯარში და ომის დაწყებისთანავე მთავარსარდლის ფუნქცია ეკისრება. მე ვერ გეტყვით, ჩვენს მოდელს რა ჰქვია და როგორია, რაღაც გაუწონასწორებელ სიტუაციასთან გვაქვს საქმე – პრეზიდენტი და პრემიერი ერთი გუნდიდან არიან, მაგრამ ამათ ერთი გუნდისა არაფერი ეტყობათ. მე პირადად ამ საკონსტიტუციო ბრძოლაში პრემიერს ვამართლებ იმიტომ, რომ დღეს ის არის რეალურად ყველაფერზე პასუხისმგებელი. უშიშროების საბჭო, რომლის გაძლიერებასაც მარგველაშვილი აპირებს, უკვე ზედმეტ ორგანოდ მიმაჩნია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უშიშროების საბჭოს მდივნობა არ უნდა ითვლებოდეს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეზე მაღალ თანამდებობად. ეს ირინა იმერლიშვილი ან პოლიტიკური თვალსაზრისით „გადაასახლეს“ უშიშროების საბჭოში, ან კიდევ ეგონათ, რომ ის კარგად გააკონტროლებდა პრეზიდენტს. ყოველ შემთხვევაში, სანამ ამას გააკეთებდნენ, ამის საჭიროება არ იყო, მარგველაშვილმა ახლა დაიწყო ჭირვეულობა, თორემ მანამდე წყნარად იჯდა. ახლა პრეზიდენტი თვითონვე უნდა მიხვდეს, რომ სიჯიუტეს აზრი არ აქვს და შეიკვეცოს თავისი უფლებამოსილება, მარგველაშვილი უნდა დარჩეს ისეთივე სიმბოლურ ფიგურად, როგორც ეს არის ისრაელში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. მე პრეზიდენტის გონებრივ შესაძლებლობებს არ ვეხები, უბრალოდ, ადმინისტრაციული მოწყობაა ისეთი, რომ ის ბევრ საკითხში ვერ და არ ერკვევა. ახლა საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებები, მაგრამ ამ ცვლილებებს საპარლამენტო უმცირესობა მხარს არ დაუჭერს და ვართ ასეთ დიდ გაუგებრობაში. ამას

**„დღეს, მშვიდობიან პერიოდში მთელი მინისტრთა კაბინეტი, მათ შორის, თავდაცვის მინისტრი ემორჩილება პრემიერ-მინისტრს... ღმერთმა დაგვიფაროს, დავუშვათ, დაიწყო ომი, ამ დროს პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და მის ხელში გადადის თავდაცვის სამინისტროც თავის მინისტრიანად. ესე იგი, მშვიდობიან პერიოდში მარგველაშვილი გაგებაში არ არის, რა ხდება ქართულ ჯარში და ომის დაწყებისთანავე მთავარსარდლის ფუნქცია ეკისრება“**



**„ეს ირინა იმერლიშვილი ან პოლიტიკური თვალსაზრისით „გადაასახლეს“ უშიშროების საბჭოში, ან კიდევ ეგონათ, რომ ის კარგად გააკონტროლებდა პრეზიდენტს. ყოველ შემთხვევაში, სანამ ამას გააკეთებდნენ, ამის საჭიროება არ იყო, მარგველაშვილმა ახლა დაიწყო ჭირვეულობა, თორემ მანამდე წყნარად იჯდა“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმში „ბუდა-ბარი“ დახურეს




ბათუმში დახურული „ბუდა-ბარი“ ოფიციალურ ბრენდს არ ეკუთვნოდა და სახელს არალეგალურად იყენებდა.

ამის შესახებ Buddha-Bar-ის ბრენდის მმართველი საერთაშორისო კომპანიის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული:

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქართულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია ბათუმში ბუდა-ბარის სახელწოდების მქონე რესტორანთან დაკავშირებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში Buddha-Bar ბრენდი ოფიციალურად წარმოდგენილია მხოლოდ თბილისში და საქართველოს არც ერთ სხვა ქალაქში, არც ერთ სხვა რესტორანთან ბრენდ Buddha-Bar-ს კავშირი არ აქვს. Buddha-Bar ბრენდის მმართველი საერთაშორისო კომპანია და მისი ქართველი პარტნიორები ყურადღებით სწავლობენ ბათუმის რესტორნის მიერ საერთაშორისო სავაჭრო ნიშნის არალეგალური გამოყენების საკითხს და გეგმავენ დამატებითი იურიდიული ზომების მიღებას. შეგახსენებთ, რომ Buddha-Bar თბილისი 2012 წელს გაიხსნა და საქართველოში ამ ბრენდის ერთადერთი ოფიციალური მატარებელია. Buddha-Bar ბრენდის პირველი რესტორანი პარიზში გაიხსნა, ხოლო დღეისთვის ქსელი მოიცავს მსოფლიოს 15 ქალაქს, რომელთა შორისაა: ლონდონი, მონტე-კარლო, პრაღა, ბუდაპეშტი, მოსკოვი, დუბაი, ქაირო და სხვა“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ოლეგ მელნიკოვთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდება



სანდრო გირგვლიანის საქმიდან ოლეგ მელნიკოვის ბრალდების საქმე ცალკე ეპიზოდად გამოიყო. შესაბამისი შუამდგომლობა ამ წუთებში მიმდინარე სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ დააყენა, რაც მოსამართლე დავით მგელიაშვილმა დააკმაყოფილა.

როგორც ბრალდების მხარემ განმარტა, ამის საფუძველი ის არის, რომ ბრალდების მხარესა და მელნიკოვს შორის საპროცესო გარიგებაზე შეთანხმება მიღწეულია.

პროკურორები აცხადებენ, რომ ოლეგ მელნიკოვთან საპროცესო შეთანხმება ფორმდება, რადგან ის აღიარებს დანაშაულს და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

ოლეგ მელნიკოვმა გირგვლიანის საქმეზე საქალაქო სასამართლოში აღიარებითი ჩვენება ორი კვირის წინ მისცა. როგორც მან აღნიშნა, დათა ახალაიამ დაწერილ ჩვენებაზე ხელი მოაწერინა. ამასთანავე, მელნიკოვმა განაცხადა, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ დათა ახალაია გენერალურ პროკურატურაში ზურაბ ადეიშვილს ახლდა, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილთან გამართა შეხვედრა. ამ დროს კი, როგორც მელნიკოვი აცხადებს, ის ავტომობილში დათა ახალაიას ელოდებოდა. მელნიკოვმა განაცხადა, რომ მაღალჩინოსნებმა შეიმუშავეს გეგმა და დათა ახალაიას დაწერილ გეგმას მიხეილ სააკაშვილიც დაეთანხმა, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, საზოგადოებაში არსებული პროტესტი ჩაეხშოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომლის დაკავებით.

მელნიკოვის თქმით, ამაზე თანხმობა არსებობდა როგორც ყოფილი მთავარი პროკურორის, ზურაბ ადეიშვილისგან, ასევე მიხეილ სააკაშვილისგან. მისი განცხადებით, მაღალჩინოსნების შეთანხმების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხ თანამშრომელს დააკავებდნენ და შემდეგ კი გაათავისუფლებდნენ.

მელნიკოვმა აღიარებით ჩვენებაში ისიც განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ მუშაობდა, პლასტიკურ ბარათზე ხელფასი ყოველთვიურად ერიცხებოდა. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

რეალურად ჰქვია საკონსტიტუციო კრიზისი.

**— ჩვენში ამ ყველაფერს უყურებენ ერთსახოვნად — თურმე მარგველაშვილს ჩაგრავენ, ავიწროებენ, უფლებებს ართმევენ და ასე შემდეგ. თავად მარგველაშვილი ვერ გრძნობს, რომ მისი ჭირვეულობა უკვე ბავშვურ თამაშს დაემსგავსა?**

– მარგველაშვილი დღეს არღვევს თამაშის ყველა წესს, რაც კი მორალთან და წესიერებასთან არის დაკავშირებული. მან ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს პრეზიდენტად არავის არ აურჩევია, ის ფაქტობრივად დანიშნული პრეზიდენტია. ახლა, ამის შემდეგ, თუ საკონსტიტუციო კრიზისის შექმნას დაიწყებ, ეს უკვე უზნეობაა. თუნდაც ის საკითხი ავიღოთ, როცა ერთი ამბავი ატეხა „საიდუმლო" გრიფის მოხსნაზე. კი, მაგრამ რაში სჭირდებოდა პრეზიდენტს ერთი თვე იმისთვის, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურის საქმეზე გრიფი „საიდუმლო" მოეხსნა? მას აქვს ვადა ერთი თვე, ეს გასაგებია, მაგრამ ამას სჭირდება, სულ რაღაც, 15 წამი. მან იცოდა, რომ გამოძიება მიმდინარეობდა, ამას პროკურატურა ითხოვდა, მაგრამ მაინც ჯიბრში ჩადგა და თავისი უფლებების დემონსტრირება დაიწყო. არავის არ სჭირდება მარგველაშვილის უფლებები, თუ ის არ გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. ასეთი კინკლაობა ყველა დროის ხელისუფლებაში იყო... მაგალითად, ჩემ დროს ჩვენსა და პროკურატურას შორის იყო დაპირისპირება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკეთესი ურთიერთობა მქონდა, ასეთი პიროვნული დაპირისპირებები ყოველთვის არსებობს, მაგრამ, როცა ეს გარეთ გამოდის და სხვანაირ სახეს იღებს, ძალიან ცუდია. ამ საქმეში მე ვადანაშაულებ გიორგი მარგველაშვილს. ახლა ბევრია აღტაცებული: ყოჩაღ, მარგველაშვილი, შენს უფლებებს კაცურად იცავ, ძალიან კარგია, რომ კახა თარგამაძეს არ მიეცი მოქალაქეობა და ასე შემდეგ. ეს კაცი ლამის პოლიტიკურ თოჯინად აქციეს და ათამაშებენ.

**„კონსტიტუციის ეს მუხლი იქცა ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევად. ესე იგი, სხვა ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ მე, როგორც ქართველს, ეს მეკრძალება. თქვენ დამისახელებთ მსოფლიოში კონსტიტუციას, რომელიც ნაკლებად ზრუნავს თავის მოქალაქეებზე და მეტად ზრუნავს სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე?"**

**— ჩვენ კი ვამბობთ, რომ ბავშვურად თამაშობს, მაგრამ ამავე დროს ლაპარაკობენ, რომ ის შეკრულია „ნაციონალებთან" და „რესპუბლიკელებთან", ანუ ამ ორი ძალის გავლენის ქვეშაა მოქცეული. ალასანიაზეც არის საუბარი.**



„ალბათ, სააკაშვილი ამიტომ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს? მას საქართველოში ჩამოუსვლელადაც შეუძლია, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ, თუ მანამდე მიუსაჯეს, მაშინ ეს ამბავი ჩაეშლება. ვნახოთ, ალბათ, პროკურატურა ასეც მოიქცევა, 2016 წლამდე მიშას რამდენიმე წელს აუცილებლად მიუსჯიან"

– მახსოვს, როცა მარგველაშვილი ოპოზიციაში იყო, „მაესტროს" ეთერში გამოვიდა და იკითხა, დღესაც სააკაშვილზე უნდა ვილაპარაკოთო? თუ სააკაშვილზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, ის აღარ იქნებაო. ამ თემას მაშინ ფილოსოფიურად მიუდგა. თუ ჩვენც ფილოსოფიურად მივუდგებით და დღევანდელი პრეზიდენტის ბავშვობაზე ბევრს არ ვილაპარაკებთ, ეს თემა რაღაცნაირად ჩაწყნარდება. დღეს მარგველაშვილს რეალური ძალაუფლება ნამდვილად არ აქვს. შეიძლება ფორმალური უფლებები აქვს, მაგრამ როგორც კი ამას გამოიყენებს, ან პარლამენტის დათხოვნას მოინდომებს რაიმე მიზეზით, ან სხვა რაღაცას გააკეთებს, ეგრევე დადგება მისი კარიერის დასასრული, მასაც მოუძებნიან რაიმე მიზეზს და ეგრევე მოუწყობენ იმპიჩმენტს. ის ახლა ვალდებულია, მონახოს საერთო ენა პრემიერთან და იმუშაოს გუნდურობის პრინციპით. აქ არ არის საჭირო ვაჟკაცობისა და რაღაც საკუთარი პრინციპების ჩვენება, ვაჟკაცობის ჩვენება სხვა ადგილას გამოადგება. თუმცა, სამწუხაროდ, მას ასეთი ადგილი არ აქვს.

**— კახა თარგამაძესთან დაკავშირებით ასე რატომ მოიქცა, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– მე ვთვლი, რომ მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუცია საერთოდ გააუპატიურა, როდესაც გამონაკლისის სახით ათასობით უცხოელს მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. კონსტიტუციის ეს მუხლი იქცა ჩვენი მოქალაქეების უფლებების დარღვევად. ესე იგი, სხვა ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ მე, როგორც ქართველს, ეს მეკრძალება. თქვენ დამისახელებთ მსოფლიოში კონსტიტუციას, რომელიც ნაკლებად ზრუნავს თავის მოქალაქეებზე და მეტად ზრუნავს სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე? ბოლოს იმ აბსურდამდეც კი მივედით, ისეთი ცვლილება შეიტანეს, რომ შესაძლებელია, ჩვენ გვყავდეს პრემიერი სხვა ქვეყნის მოქალაქე, ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობა არ არის საჭირო. რაც შეეხება კახა თარგამაძეს, ამ შემთხვევაში მარგველაშვილმა ელემენტარულ ზეწოლას ვერ გაუძლო და თავისი უფლება გამოაყენებინეს. თვითონ კანონი არის მახინჯი და პრაქტიკაშიც ვიყენებთ მახინჯურად.

**— კი, მაგრამ ვიღაც პაკისტანელებს, თურქებსა და ინდოელებს რომ მისცა მიშამ ორმაგი მოქალაქეობა, კახა თარგამაძემ რა დააშავა?**

– მაგას ვამბობ... მე რომ კახა თარგამაძის ადგილას ვიყო, აუცილებლად ვიჩივლებდი საკონსტიტუციო სასამართლოში. ახლა დაიწყეს: აი, დაბრუნება უნდათ, ეს უნდათ, ის უნდათ... მაგალითად, მე ისევ საქართველოს მოქალაქე ვარ და მოსკოვში ვმუშაობ ვიზით, როგორც მიწვეული სპეციალისტი. სხვათა შორის, პალიკო კუბლაშვილსა და „სიდედროვიჩ" აკო მინაშვილს ჰგონიათ, რომ მე არა ვარ სპეციალისტი... ამ შემთხვევაში ცოტა წავიტრაბახებ და ვიტყვი: თუ საქართველოში 10 კონსტიტუციონალისტია, აქედან ერთი მე ვარ. გარდა იმისა, რომ დაწერილი მაქვს უამრავი კანონი, ასევე დაცული მაქვს სადოქტორო დისერტაცია. თუ უნდათ, ჰკითხონ ავთო დემეტრაშვილს, რომელმაც ჭრა და კერა კონსტიტუცია ყველა მთავრობაში. მე როცა მოსკოვში ჩამოვედი, მივედი ჩვენს საკონსულოში, რომელიც შვეიცარიის საელჩოშია განთავსებული და დავდექი აღრიცხვაზე. თუ მომავალში ვიფიქრებ პოლიტიკაზე და ამაზე უკვე ვფიქრობ, თუ 2016 წლის არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას, ამის სრული ლეგიტიმური უფლება მექნება. როცა კახა თარგამაძე გავიდა ქვეყნიდან, მაშინ სხვანაირი კანონი იყო, ისე ვერ გახვიდოდი სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად, თუ საქართველოს მოქალაქეობას არ დათმობდი.



„მარგველაშვილი დღეს არღვევს თამაშის ყველა წესს, რაც კი მორალთან და წესიერებასთან არის დაკავშირებული. მან ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს პრეზიდენტად არავის არ აურჩევია, ის, ფაქტობრივად, დანიშნული პრეზიდენტია. ახლა, ამის შემდეგ თუ საკონსტიტუციო კრიზისის შექმნას დაიწყებ, ეს უკვე უზნეობაა"

**„პიროვნული დაპირისპირებები ყოველთვის არსებობს, მაგრამ, როცა ეს გარეთ გამოდის და სხვანაირ სახეს იღებს, ძალიან ცუდია. ამ საქმეში მე ვადანაშაულებ გიორგი მარგველაშვილს. ახლა ბევრია აღტაცებული: ყოჩაღ, მარგველაშვილი, შენს უფლებებს კაცურად იცავ, ძალიან კარგია, რომ კახა თარგამაძეს არ მიეცი მოქალაქეობა და ასე შემდეგ. ეს კაცი ლამის პოლიტიკურ თოჯინად აქციეს და ათამაშებენ"**

**— დაახლოებით ორი კვირის წინ მიხეილ სააკაშვილიც დადგა საკონსულო აღრიცხვაზე... გამოდის, ისიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს უმიზნებს?**

– ალბათ, ამიტომ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს? მას საქართველოში ჩამოუსვლელადაც შეუძლია, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ, თუ მანამდე მიუსაჯეს, მაშინ ეს ამბავი ჩაეშლება. ვნახოთ, ალბათ, პროკურატურა ასეც მოიქცევა, 2016 წლამდე მიშას რამდენიმე წელს აუცილებლად მიუსჯიან.

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ყადორის ციხეზე რუსული დროშა არ აღმოჩნდა




ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, ყადორის ციხეზე რუსული დროშა არ აღმოჩნდა. ადგილზე „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იმყოფებოდა და ციხის ფოტოც გადაიღო.

დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ Facebook-ში საკუთარ გვერდზე გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, ყადორის ციხეზე რუსული დროშა ფრიალებს და ტერიტორია დანაღმულია.

„2-3 თვის წინ აქ ჩვენი დროშა ფრიალებდა. დაახლოებით 2 თვის წინ კი რუსებმა თავისი დროშა აღმართეს. ტერიტორია დანაღმულია. სასაზღვრო რაიონში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნულ ფაქტზე საუბარიც კი აუკრძალეს. მივმართავ მედიის საშუალებებს, დაინტერესდით აღნიშნული ფაქტით, აჩვენეთ საზოგადოებას სიმართლე, თორემ საქართველოს დღევანდელ მთავრობას არათუ თვითონ არ შეუძლია საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, არამედ სხვებსაც კი უკრძალავს", – წერს ხაჩიძე.

ციხეზე დროშის არსებობა არ დაადასტურა ყვარლის რაიონის გამგებელმა ილია მზექალიშვილმაც.

„ცრუ ინფორმაციაა. ხაჩიძეს შეუძლია, ჩამობრძანდეს და ვაჩვენებთ, რომ არანაირი დროშა არ არის აღმართული", – განაცხადა მზექალიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რუსეთის ეკონომიკა კრიზისშია



რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსეი ულიუკაევმა განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკა ნეგატიურ ციკლშია შესული – იგი სტაგნაციასა და რეცესიას შორის ბალანსირებს, რომლის დასაძლევადაც ეკონომიკური ზრდის ახალი წყაროებია მოსაძებნი.

ულიუკაევი აღიარებს, რომ ეს მდგომარეობა მარტო დასავლური სანქციებით არ არის გამოწვეული, ის 2012 წლიდან დაიწყო, რაც თავად რუსული ეკონომიკის სისუსტის შედეგია.

„ჩვენში არსებული ეკონომიკური ინსტიტუციების ხარისხი იმდენად დაბალია, რომ შეუძლებელია სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესება და ინვესტორების მოზიდვა", – აცხადებს იგი.

მინისტრის თქმით, შემოსავლები მომავალში კიდევ უფრო დაიკლებს.

ულიუკაევი გამოსავალს გადასახადების ზრდაში ვერ ხედავს, ამან შესაძლოა, უკუშედეგი გამოიწვიოს. ის მოუწოდებს ხელისუფლებას, საბიუჯეტო-ბიუროკრატიული ხარჯები შეამციროს, შეწყვიტოს წარუმატებელი და წამგებიანი პროექტების დაფინანსება, სახელმწიფო კომპანიებისა და ბუნებრივი მონოპოლიების გაუმართლებელი ხარჯების სუფსიდირება.

სხვა ფაქტორები ეკონომიკური ზრდისთვის, უახლოეს მომავალში არ ჩანს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რა არ აპატია აშშ-ს ხელისუფლებამ სააკაშვილს და რატომ დასთანხმდა მის დაპატიმრებას

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამოღებული სამი ტონა ჰეროინის შემდეგ, „ალია" სანდო წყაროებსა და ექსპერტებზე დაყრდნობით სისტემატურად წერდა, რომ ამ ჰეროინთან კავშირში მიხეილ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის" ხელისუფლების სხვა გავლენიანი ჩინოვნიკები იყვნენ. ამას ექსპერტი ვახტანგ მაისაიაც ამტკიცებდა „ალიასთან" საუბარში, რომელმაც, სხვათა შორის, პირველმა განაცხადა, რომ ეს 3 ტონა ჰეროინი „თალიბანს" ეკუთვნოდა და შემდგომში ეს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემაც დაადასტურა. ამ ოდენობის ჰეროინის ამოღება იმდენად უპრეცედენტო ფაქტია, რომ მისი წარმომავლობის მარშრუტის გამომგზავნისა თუ დამხვედრის შესახებ წერა კიდევ დიდხანს მოგვიწევს... ამჯერად, ვახტანგ მაისაიამ „ალიას" ახალი ინფორმაციები მოაწოდა, რომლებიც კიდევ ერთხელ აძლიერებს იმ ვარაუდს, რომ ამ უპრეცედენტო ნარკოტრაფიკთან მიხეილ სააკაშვილი უშუალო კავშირში იყო.

**— ბატონო ვახტანგ, პირად საუბარში მითხარით, ახალი ინფორმაციები მაქვს 5 მაისს ამოღებული 3 ტონა ჰეროინის შესახებო...**

– მოდით, ცოტა შორიდან დავიწყებ, ავღანეთში თალიბებს ოპიუმი მოჰყავთ ჰელმანდის, ყანდაღარის, იარუზგანის, ბალხის, ბადახშანისა და ბალგანის პროვინციებში. ეს ავღანეთის სამხრეთი რეგიონებია, რომლებსაც თალიბები აკონტროლებენ. მათ შეძლეს, ნარკოტიკის წარმოება სამრეწველო დონეზე აეყვანათ. სადღეისოდ, თალიბების ნარკოკარტელი 35 დაჯგუფებას აერთიანებს, ერთ-ერთის ხელმძღვანელია ჯამირ ბაზირ მურზალი, იგივე მულა ბაშირი. ეს კაცი, არდაღანის პროვინციის ხელმძღვანელი, იგივე გუბერნატორი იყო. სწორედ მისი მეშვეობით დაამყარა ევროპულ ნარკოსტრუქტურებთან კავშირი თალიბანმა. მულა ბაშირი ალბანელ კრიმინალებთან გავიდა კონტაქტზე და მათთან ააწყო ჩინებული ურთიერთობა. ალბანურმა ნარკოკარტელებმა ჩაანაცვლეს იტალიური და თურქული კონკურენტები, ისინი განდევნეს ბაზრიდან და მათი ადგილი თავად დაიჭირეს. თალიბებს 20 უდიდესი ლაბორატორია აქვთ, სადაც ოპიუმის ჰეროინად და სხვა ნარკოტიკულ საშუალებებად ქცევა შეუძლიათ. ეს ლაბორატორიები და საწყობები მდებარეობს ხოსტის პროვინციაში მიწისქვეშ. ერთ-ერთი ასეთი ლაბორატორია ჯალალაბადშია, სწორედ ამ ლაბორატორიაში შეიმუშავეს ნარკოტიკის ის სახეობა, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოდიოდა და ჩვენმა სამართალდამცავებმა დააკავეს. ეს ე.წ. თხევადი ნარკოტიკია და მას თალიბები „ალაჰის ცრემლებს" ეძახიან. 50 კგ ოპიუმიდან მიიღება 1 ლიტრი თხევადი ნარკოტიკი და ძალიან ძლიერმოქმედია. რაც შეეხება მარშრუტს, ცხადია, ეს ჰეროინი ავღანეთიდან წამოვიდა, კონკრეტულად ჰელმანდის პროვინციიდან. გამოიარა თურქმენეთი, აზერბაიჯანი და საქართველოს გავლით უნდა გადაეტანათ თურქეთში. თურქეთიდან კი ბალკანეთის გავლით მოხვდებოდა ევროპაში. ამ ნარკოტრანზიტის შესახებ თავის დროზე განცხადება გააკეთეს გაერომაც და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც და თან, არაერთხელ. მათ პირდაპირ მიუთითეს, რომ საქართველო ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი ქვეყანაა და ხელისუფლებას მოუწოდეს ნარკობარონთა თარეშის ალაგმვისკენ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა საამისოდ თითი არ გაანძრია. ანდა, ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ რას მოიმოქმედებდა, როცა თავად იყო მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ნარკობარონი?!.

ცხადია, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა ჰელმანდიდან საქართველოსკენ წამოვიდა ნარკოტიკი და მისი ევროპაში გატანის გარანტი მიხეილ სააკაშვილი იყო, მისი პრეზიდენტობის ჟამს სწორედ ჰელმანდის პროვინციიდან სისტემატურად მოდიოდა დიდძალი ნარკოტიკი და ზემოხსენებული მარშრუტის გავლით გადიოდა ევროპაში.

**— რით ამტკიცებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი გავლენიანი ნარკობარონია?**

– ამას მიხეილ სააკაშვილს დაუმტკიცებენ, როცა დრო მოვა. მე ფაქტებს მოგახსენებთ, დაუკავშირეთ ისინი ერთმანეთს და დასკვნა თავად გააკეთეთ. ჰელმანდის პროვინციიდან რომ წამოვიდა ეს სამი ტონა თხევადი ნარკოტიკი საქართველოსკენ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მე არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ჰელმანდში სამშვიდობო მისიით მყოფი ქართველი ჯარისკაცების ბაზაზე მოხდა ტერაქტი, რომელსაც 8 ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს ნარკოტრაფიკთან კავშირშია, ეს ტერაქტი ყარათის ნარკოკარტელის მიერ იყო განხორციელებული. აქ ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე.

**— გამიგია, რომ იმ პერიოდისთვის მიხეილ სააკაშვილმა თალიბები „გადააგდო", ნარკოტიკების ფული დაუგვიანა და ეს ტერაქტი იყო გაფრთხილება თალიბების მხრიდანო.**

– კი, რაღაც ამგვარი იყო, ამას ნამდვილად ვერ დავამტკიცებ, თუმცა ტერაქტი რომ ნარკოკარტელმა განახორციელა, ეს ნაღდია. ხომ გითხარით, მილიარდებზეა ლაპარაკი და არ დაგვავიწყდეს, საქმე გვაქვს თალიბებთან, რომლებიც ერთ ცენტსაც კი არავის შეარჩენენ, გინდა პრეზიდენტი იყოს და ვინც გინდა იყოს...

აქვე გაიხსენეთ, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მერე, როცა „ნაცმოძრაობა" დამარცხდა, მიხეილ სააკაშვილმა როგორ მოუხშირა ავღანეთში და განსაკუთრებით, ჰელმანდის პროვინციაში სიარულს, სადაც რამდენჯერმე ჩავიდა. ოფიციალურად ის ქართველი სამხედროების ბაზაზე ჩადიოდა, მა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე





**„არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი და მისი ვიზიტის შესახებ არც არაფერი თქმულა. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი როგორც ამ ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი მფარველი, სწორედ ამერიკელთა მოთხოვნით გაათავისუფლა სააკაშვილმა თანამდებობიდან"**

**„ამ ნარკოტრანზიტის შესახებ თავის დროზე განცხადება გააკეთეს გაერომაც და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმაც და თან არაერთხელ. მათ პირდაპირ მიუთითეს, რომ საქართველო ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი ქვეყანაა და ხელისუფლებას მოუწოდეს ნარკობარონთა თარეშის ალაგმვისკენ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა საამისოდ თითი არ გაანძრია. ანდა, ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ რას მოიმოქმედებდა, როცა თავად იყო მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ნარკობარონი?!."**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აფხაზეთში ჩატარებული ე.წ არჩევნები უკანონოა



საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ზალკალიანის განცხადებით, აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები უკანონოა:

„აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებული ე.წ. არჩევნები არის უკანონო აქტი. ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს უგულებელყოფს. დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ამას ადეკვატური შეფასება ექნება. უკვე ცნობილია, რომ ევროკავშირმა ამასთან დაკავშირებით გარკვეული განცხადება გააკეთა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სხვა პარტნიორების მხრიდანაც მოჰყვება ამას შესაბამისი განცხადებები", – განაცხადა ზალკალიანმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა გახდა



წინასწარი მონაცემებით, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი, რაულ ხაჯიმბა გახდა. ოპოზიციის ლიდერმა ხმების 50,57% მიიღო და პირველივე ტურში გაიმარჯვა.

„აფხაზეთის კანონმდებლობის" თანახმად, პირველივე ტურში გამარჯვებულად ითვლება კანდიდატი, რომელიც 50% +1 ხმას მიიღებს.

დე ფაქტო ცსკ-ის თავმჯდომარის ბატალ ტაბაღუას განცხადებით, მეორე ადგილზეა დე ფაქტო უშიშროების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ასლან ბჟანია, ხმების 35,91%-ით, მესამეზე – დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ქიშმარია გავიდა 6,4%-ით, მეოთხეზე შს ყოფილი დე ფაქტო მინისტრი ლეონიდ ძიაპშიპა – 3,4%-ით. ყველას წინააღმდეგ ხმა 1,8%-მა მისცა. აქტივობამ კი 70% შეადგინა. (ნიუპოსტი)

## გონიოს მოსახლეობა მიწების დაბრუნებას მოითხოვს



აჭარის მთავრობის სახლთან გონიოს მოსახლეობამ ჩამორთმეული მიწების დაბრუნების მოთხოვნით აქცია გამართა. მიწის დაბრუნებას დაახლოებით 400 ოჯახის წარმომადგენელი ითხოვს. მათი განცხადებით, საკითხის შესწავლისა და დროულად გადაწყვეტის დაპირება აჭარის მთავრობისგან რამდენჯერმე მიიღეს, თუმცა უშედეგოდ. მოსახლეობა მიწების საკუთრებაში დაბრუნებას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი აქციების გამართვითა და საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან.

„ბრძანება მოსულია, რომ ხალხს გაუნაწილდეს მიწები. უკვე 5 თვეა გასული და ჯერ არც ერთ ოჯახს არ მიუღია კუთვნილი მიწა", – განაცხადა აქციის მონაწილე ბეჟან მახარაძემ. (ფრონტნიუსი)

*მეხუთე გვერდიდან*

გრამ კიდევ ვის ხვდებოდა, ეს არის საკითხავი...

**— თქვენ ვარაუდობთ, რომ ავღანელ ნარკობარონებს ხვდებოდა?**

– კი არ ვვარაუდობ, ეჭვიც არ მეპარება. არჩევნების წაგების მერე სააკაშვილმა დაინახა, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდა, ძალაუფლების გარეშე მას ნარკოტრანზიტის შენარჩუნება გაუჭირდებოდა და ცხადია, თალიბებთან თადარიგს იჭერდა, ურთიერთობებს ალაგებდა და გარანტიებს აძლევდა, რომ ეს მარშრუტი მისი პრეზიდენტობის შემდეგაც იმუშავებდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, „ნაციონალების" მიერ ამუშავებული ეს მარშრუტი გაიშიფრა და ჩავარდა. აქვე გავიხსენოთ ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალიც, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი და მისი ვიზიტის შესახებ არც არაფერი თქმულა. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი, როგორც ამ ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი მფარველი, სწორედ ამერიკელთა მოთხოვნით გაათავისუფლა სააკაშვილმა თანამდებობიდან. და არა მარტო მერაბიშვილი, თავად სააკაშვილი ნაწილობრივ სწორედ ამ ამბავს გადააყოლეს. მართალია, მას ამერიკა ბევრ რამეში მხარს უჭერდა, მაგრამ ბოლოს, თითქმის ყველანაირი მხარდაჭერა დაკარგა და ამერიკელები მხოლოდ განცხადებების დონეზე შემოიფარგლებოდნენ და ისიც, ცალკეული კონგრესმენები და სენატორები, აღარც სახელმწიფო დეპარტამენტი და აღარც პრეზიდენტის ადმინისტრაცია სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის" მხარდაჭერას აღარ აფიქსირებდა. მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო თანამედროვე გენერალი ნორიეგა, რომელსაც ათეულობით ტონა ნარკოტიკი გაჰქონდა ევროპაში. აი, სწორედ ეს არ აპატიეს და აღარც არჩევნებში დაუჭირეს მხარი, ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობისა" და სააკაშვილის საქმე უკან-უკან მიდის, მათ სამი არჩევნები წააგეს უკვე, ამერიკელთა მხრიდან აღარანაირი მხარდაჭერა არ ჰქონიათ. სააკაშვილზე სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრა, ეს ფაქტიც გაიხსენეთ, არც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და არც სახელმწიფო დეპარტამენტმა არ გააკეთეს განცხადებები და ის ჩვეული აღშფოთებაც კი არ გამოხატეს, რასაც ადრე ხშირად აფიქსირებდნენ სხვა მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ იგივე ქმედებისას.



**„სააკაშვილზე სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრა, ეს ფაქტიც გაიხსენეთ, არც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და არც სახელმწიფო დეპარტამენტმა არ გააკეთეს განცხადებები და ის ჩვეული აღშფოთებაც კი არ გამოხატეს, რასაც ადრე ხშირად აფიქსირებდნენ სხვა მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ იგივე ქმედებისას"**

**— ბატონო ვახტანგ, აქვე უნდა გავიხსენოთ გაეროს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნა, სადაც ლაპარაკია სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებზე. გაერო დღევანდელ ხელისუფლებას კატეგორიულად სთხოვს, გამოიძიოს წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები. ეს დასკვნაც დროში დაემთხვა ამ ნარკოსკანდალს.**

– აბსოლუტურად სწორი შენიშვნაა, გაეროს აქვს ნარკოტრაფიკთან ბრძოლის სამსახური და მის დასკვნებშიც არაერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ საქართველო ნარკოტრანზიტის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია და სააკაშვილს მოუწოდებდნენ ებრძოლა ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ. ცხადია, გაეროში ძალიან კარგად იციან, რომ მიხეილ სააკაშვილი და მისი ხელისუფლების სხვა წევრები ჩართულნი იყვნენ ამ სქემაში და ევროპას უხვად ამარაგებდნენ ნარკოტიკით. ამას სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას" არც გაერო აპატიებს, არც ამერიკა და არც ევროკავშირი.

**— შესაძლოა, სამომავლოდ ნარკოტრაფიკის თემა, თუნდაც გაეროს მიერ იქნეს გამოძიებული და სააკაშვილსა და მის ახლო გარემოცვას, ვინც ამ სამსახურში იყვნენ ჩართულნი, ბრალი წაუყენონ და ჰააგის ტრიბუნალს გადასცენ?**

– მე ნამდვილად არაფერს გამოვრიცხავ, გეუბნებით, სააკაშვილი არაფრით განსხვავდებოდა გენერალ ნორიეგასგან და ამის შესახებ ინფორმაცია გაეროსაც ჰქონდა და ამერიკისა და ევროკავშირის სპეცსამსახურებსაც. ჩემი სიტყვების დასტურად მოვიყვან აზერბაიჯანული გაზეთის „აზად ლიგის" ინფორმაციას, რომელიც აცხადებს, რომ სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც 3 ტონა ნარკოტიკი ამოიღეს, ქართულმა და ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს. ანუ რაც ქართულმა სპეცსამსახურებმა იციან, იმაზე ათჯერ მეტი იციან ამერიკელებმა და მე არ გამოვრიცხავ, რომ ქართულ მხარეს ჰელმანდიდან წამოსული ნარკოტიკების ამ პარტიის შესახებ სწორედ ამერიკელებმა მიაწოდეს ინფორმაცია.

**„სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც 3 ტონა ნარკოტიკი ამოიღეს, ქართულმა და ამერიკულმა სპეცსამსახურებმა ერთობლივად ჩაატარეს. ანუ რაც ქართულმა სპეცსამსახურებმა იციან, იმაზე ათჯერ მეტი იციან ამერიკელებმა და მე არ გამოვრიცხავ, რომ ქართულ მხარეს ჰელმანდიდან წამოსული ნარკოტიკების ამ პარტიის შესახებ სწორედ ამერიკელებმა მიაწოდეს ინფორმაცია"**

**— ფაქტია, მარშრუტი, რომელშიც საქართველო ერთ-ერთ პუნქტად იყო, ჩავარდა და ამაში მთავარი დამნაშავე ის იქნებოდა, ვინც გარანტიები მისცა თალიბებს, რომ მარშრუტი სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც უსაფრთხო იქნებოდა. ახლა რა მოხდება, თალიბები არ მოსთხოვენ დამნაშავეს პასუხს? დამნაშავე კი, სავარაუდოდ, სააკაშვილია, რადგან სხვა ამ ტიპის გარანტიებს თალიბებს ვერ მისცემდა...**

– ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ თალიბებისგან სააკაშვილს საფრთხე ელოდება და არ აპატიონ არც სამი ტონა ჰეროინის ჩავარდნა და მით უმეტეს, მთლიანად ნარკოდერეფნის ამხელა საფრთხის წინაშე დაყენება. ეს ნარკოტრანზიტი სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების დროს გაიხსნა, მანამდე არ არსებობდა, მაგრამ სააკაშვილს უკვე აღარავინ ეკითხებოდა მის ფუნქციონირებას, იმდენად გავლენიანი ძალები არიან მასში ჩართულნი. შესაბამისად, თალიბებისგან საპასუხო რეაქციას არა მარტო სააკაშვილი უნდა ელოდოს, არამედ მთლიანად ქვეყანაც. შურისძიების მიზნით, შესაძლოა, თალიბებმა ტერაქტები მოაწყონ ავღანეთში განთავსებულ ქართულ სამხედრო ბაზებზე, ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებ, ყველაფერი გააკეთოს ამ ბაზებზე უსაფრთხოების ღონისძიებების გასატარებლად. ასევე, მოსალოდნელია ქვეყანაში ჯიჰადის რეალური საფრთხე. თალიბების შურისძიების ობიექტი პრეზიდენტი გახდება თუ უბრალო მოქალაქე, ეს კაცმა არ იცის. კარგს რომ არ უნდა მოველოდეთ მათგან, ეს ფაქტია. მოკლედ, სააკაშვილმა თალიბებს მისცა 100%-იანი გარანტია, რომ ეს მარშრუტი იმუშავებდა, მაგრამ ის ჩავარდა. მან პოსტიდან წასვლის შემდეგაც დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყანა, თვითონ მილიარდები იშოვნა ნარკოვაჭრობიდან და ქვეყანა თალიბების სამიზნედ აქცია. სხვა რომ არაფერი არ იყოს, მარტო საქართველოს საერთაშორისო ნარკოტრანზიტის ერთ-ერთ პუნქტად ჩასმა საკმარისია მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო იზოლაციისთვის. ეს პირველ ეტაპზე, ხოლო საბოლოოდ, ცხადია, ამ დანაშაულის გამო მისი ადგილი ციხეშია და რაც დროულად იზრუნებს ამაზე საერთაშორისო სასამართლო, მით უკეთესი.

**„აღარც სახელმწიფო დეპარტამენტი და აღარც პრეზიდენტის ადმინისტრაცია სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის" მხარდაჭერას აღარ აფიქსირებდა. მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი იყო თანამედროვე გენერალი ნორიეგა, რომელსაც ათეულობით ტონა ნარკოტიკი გაჰქონდა ევროპაში. აი, სწორედ ეს არ აპატიეს და აღარც არჩევნებში დაუჭირეს მხარი, ამის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობისა" და სააკაშვილის საქმე უკან-უკან მიდის, მათ სამი არჩევნები წააგეს უკვე"**

**„არჩევნების წაგების მერე სააკაშვილმა დაინახა, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლებოდა, ძალაუფლების გარეშე მას ნარკოტრანზიტის შენარჩუნება გაუჭირდებოდა და ცხადია, თალიბებთან თადარიგს იჭერდა, ურთიერთობებს ალაგებდა და გარანტიებს აძლევდა, რომ ეს მარშრუტი მისი პრეზიდენტობის შემდეგაც იმუშავებდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა, „ნაციონალების" მიერ ამუშავებული ეს მარშრუტი გაიშიფრა და ჩავარდა"**

**ლევან ჯავახიშვილი**
5 77 51-73-37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ოლეგ მელნიკოვის საპროცესო შეთანხმების დეტალები ცნობილია



იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე საპროცესო შეთანხმებას დაამტკიცებს, ოლეგ მელნიკოვი ციხიდან რამდენიმე თვეში განთავისუფლდება.

როგორც პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი აცხადებს, მელნიკოვმა აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან, ამხილა თანამონაწილე და ორგანიზატორი პირები, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მთავარმა პროკურატურამ მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა.

„როდესაც შუამდგომლობას დავაყენებთ, მას განესაზღვრება ორი წლით თავისუფლების აღკვეთა – რეალური სასჯელი, ორი წელი პირობითი მსჯავრი, ორი წელი გამოსაცდელი ვადა და ერთი წლით საქმიანობის ჩამორთმევის უფლება", – განაცხადა ნადარეიშვილმა.

პროკურორის ინფორმაციით, საპროცესო შეთანხმება მოსამართლის მხრიდან დამტკიცებას მოითხოვს.

ცნობისთვის, სანდრო გირგვლიანის საქმეზე გამართულ პროცესზე, პროკურატურის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე ოლეგ მელნიკოვის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, სხვა ბრალდებულების – ვანო მერაბიშვილის, გერონტი ალანიასა და ვალერიან მეტრეველის საქმის განხილვა კი საერთო წესების დაცვით გაგრძელდება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დარიალის ხეობაში ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური დაამონტაჟეს



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა დევდორაკის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, შეარჩიეს ადგილი და მდინარე დევდორაკსა და ამალის შესართავთან ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური დაამონტაჟეს.

მეტეოსადგური ავტომატურ რეჟიმში გაზომავს: ნალექის რაოდენობას, ტემპერატურას, ატმოსფერულ წნევას და ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ ოფისს მიაწვდის.

სტიქიის მთავარი მაპროვოცირებელი ხეობაში ძლიერი ნალექია, ამდენად უმნიშვნელოვანესია, ავტომატურ, ონლაინ რეჟიმში ხდებოდეს ნალექის რაოდენობის განსაზღვრა, რათა ადრეული შეტყობინების სისტემამ ეფექტურად იმუშაოს. (ნიუპოსტი)



## სენაკის ბაზარში გაჩენილი ხანძარი ლიკვიდირებულია

სენაკის ცენტრალურ ბაზრობაზე გაჩენილი ხანძარი სრულად ლიკვიდირებულია. 3 000 კვადრატული მეტრის ფართობზე გავრცელებული ცეცხლის ლოკალიზება მეხანძრეებმა სამსაათიანი მუშაობის შედეგად შეძლეს.

სამეგრელოს გუბერნატორის, ლევან შონიას ინფორმაციით, უკვე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ზარალს დაითვლის, რის შემდეგაც ადგილობრივი ხელისუფლება ზარალის ანაზღაურების საკითხზე იმსჯელებს.

სენაკის ცენტრალური ბაზრობის ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ექსპერტ-კრიმინალისტთა ჯგუფი მუშაობს. (ფრონტნიუსი)

# რა ხდება სინამდვილეში „კაზანტიპის“ ფესტივალზე?



**რა ხდება სინამდვილეში „კაზანტიპის“ ფესტივალზე? რატომ არ მივიდა ქართველების ის რაოდენობა, რასაც ელოდებოდნენ? რა უთხრა პოლიციამ სასულიერო პირებს პირად საუბრებში?**

**„ალიას“ „კაზანტიპის“ მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ლევან ჩაჩუა ესაუბრა:**

**— ბატონო ლევან, მოსალოდნელზე ნაკლები ხალხი ჩავიდა ანაკლიაში და „კაზანტიპის“ პრეზიდენტი მარშონუკი აწუწუნდა, 4 მილიონი დოლარი ჩავდეთ და ამ ფულსაც ვერ ამოვიღებთ, ისეთი სიძვირეა, ხალხი აღარ ჩამოდისო. თქვენ ანაკლიაში ხშირად ჩადიხართ და მართლა სიძვირეა მიზეზი თუ სხვა რამე?**

– რა თქმა უნდა, „კაზანტიპის“ ორგანიზატორები და მხარდამჭერები, ვინც ამ რესპუბლიკის უკან დგას, მოიგონებენ მიზეზებს, თითქოსდა ფესტივალის წარუმატებლობა განაპირობა სიძვირემ, თუმცა ასე არაა. „კაზანტიპზე“ ხალხის მიუსვლელობა განაპირობა ეკლესიის პოზიციის ღიად დაფიქსირებამ. საპატრიარქოს განცხადების შემდეგ, ანაკლიაში 15 ეპისკოპოსი ჩავიდა, ტაძარში გადმოაბრძანეს ღვთისმშობლის ხატი, ხალხი მიდიოდა, ემთხვეოდა მას და ათასობით ადამიანი დაიძრა ზუგდიდიდან ანაკლიაში, იქ ჩატარდა პარაკლისი, შემდეგ კი ეს საპროტესტო აქცია მივიდა განმუხურამდე, მივედით „კაზანტიპის“ შესასვლელამდე. მოხდა ქუჩების კურთხევა ნაკურთხი წლით, ეპისკოპოსებმა მთელი ტერიტორია აკურთხეს, აღევლინა საერთო ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ. ეს გადაიცა ტელევიზიით და ხალხმა ნახა ამდენი მეუფე ერთად. მე მყავს ნათესავები, რომლებიც, სამწუხაროდ, არ ტოვებენ ხოლმე მსგავს ღონისძიებებს უყურადღებოდ, მაგრამ დამირეკეს და მითხრეს, ჩემს სამეგობროს ასი ბილეთი ჰქონდა ნაყიდი და მანდ რა ხდება, ჩვენ უკვე შეგვეშინდაო. შიში იგრძნეს იმ ადამიანებმაც კი, ვისაც არ აქვთ ეკლესიური ცნობიერება, მათაც კი გულისხმიერება გამოიჩინეს იმ საშიშროების მიმართ, რაც ჰქონდათ.

**— მეუფეები რას ამბობდნენ?**

– ქადაგების დროს მეუფეები აცხადებდნენ, რომ ჩვენთან ჩამოსულები იყვნენ ყირიმიდან და როცა გაიგეს, რომ „კაზანტიპი“ საქართველოში ტარდებოდა, შეიცხადეს და თქვეს, აი, ამ „კაზანტიპის“ გამო დავკარგეთ ყირიმიო. ეს იქადაგეს ეპისკოპოსებმა, რომ არათუ ფესტივალზე მყოფებს, არამედ მათაც, ვინც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულები იყვნენ ამ ფესტივალთან, ყველას ღიად მოუწოდეს, რომ „კაზანტიპით“ ნაშოვნი ფული მათ ოჯახებს არ წაადგებოდათ და სასჯელად ექნებოდათ. მოგეხსენებათ, აქციები ჩატარდა თბილისში, კანცელარიასთან, პარლამენტთან, ასეთმა ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და სხვანაირად არც შეიძლებოდა, ყოფილიყო. ღმერთი მაღლიდან ხედავს, რომ, როცა ჩვენ არა მხოლოდ სიტყვით ვამბობთ, არამედ საქმითაც ვამტკიცებთ, ის წყალობას არ იშურებს.

**— ანაკლიელები იმუქრებოდნენ, მღვდლები არ ჩამოვიდნენ აქ, თორემ თავებს დავუხეთქავთ, კრედიტები გვაქვს აღებული ბანკებიდანო. ამდენი სასულიერო პირი ჩავიდა და არც არაფერი არ მომხდარა. ახლა რას ამბობენ?**

– დიახ, ზუსტად ასე იმუქრებოდნენ სასულიერო პირების მისამართით. ეს ხალხი ელოდებოდა გამდიდრებას, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია შეაგონებდა და ეუბნებოდა, რომ არ ღირს გარყვნილებაში ფულის კეთებაო, აყვნენ პიარს, აიღეს სესხები, მოაწყვეს სახლები, პატარა ბუნგალოები. ბანკებმა კი ამ ხალხზე გასცა დაბალპროცენტიანი სესხები. ხალხმა იფიქრა, აი, მალე ავშენდებით ამ „კაზანტიპითო“. ახლა მოსახლეობა გამოდის და გვეუბნებიან, „კაზანტიპი“ ჩაფლავდა, ეს კრედიტები ვალდებულებად გვექცაო. ახლა ბანკები დაკეტავენ ამ სახლებს, გასაღებს ჩაიდებენ ჯიბეში, შემდეგ ეს გაბითურებული ადამიანები, რომელთაც გამდიდრების მიზნით ხელი მოაწერეს იმას, რომ ამდენი უზნეო ადამიანი მიეღოთ ოჯახებში, ჩამოვლენ თბილისში და სახელმწიფო კანცელარიასთან აქციას მოაწყობენ. მიჩვეულია ჩვენი საზოგადოება ამას და მერე ჩვენს ხელისუფლებას მოსთხოვს პასუხს. მართალიც იქნება, რადგან, რა ტენდენციაც შეინიშნებოდა ამ პერიოდის განმავლობაში, იყო ის, რომ, როცა ხელისუფლებას მოვუწოდებდით, აეკრძალათ „კაზანტიპი“ და კითხვებს ვსვამდით, არ იცოდნენ, რა პასუხი გაეცათ.

**— რას გულისხმობთ, რა კითხვებს უსვამდით?**

– ვეკითხებოდით, შენს ოჯახში რომ მოვიდნენ და მოინდომონ მსგავსი ფესტივალის ჩატარება, შენს ეზოსა და სახლ-კარს დაუთმობ-თქო? ან შენს ცოლ-შვილს აყურებინებ, იქ რომ გარყვნილება დაიწყება-თქო? იცით, რას გვპასუხობდნენ? კაცო, ეს ანაკლიაში ტარდება, შემოღობილი ტერიტორიაა და ეგ რა შუაშიაო. დღეს მინდა ყველას ვუთხრა, რომ სანამ ქართველები არ გავაცნობიერებთ იმას, რომ ანაკლი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



„კაზანტიპის“ ორგანიზატორი გამობრძანდა და თქვა, იმხელა ზარალი ვნახეთ, აწი საქართველოში კი არა, სხვაგანაც ვერ ჩავატარებთ ამ ფესტივალს, იმდენი დავხარჯეთ, იმ ფულის ამოღებასაც ვერ ვახერხებთო. მისი დამოკიდებულება სასულიერო პირების მიმართ იყო ძალიან ირონიული, დამცინავი ხასიათის, ახლა კი ტირილად შემოუბრუნდა“

**„ხელისუფლების წევრებს ვეკითხებოდით, შენს ოჯახში რომ მოვიდნენ და მოინდომონ მსგავსი ფესტივალის ჩატარება, შენს ეზოსა და სახლ-კარს დაუთმობ-თქო? ან შენს ცოლ-შვილს აყურებინებ, იქ რომ გარყვნილება დაიწყება-თქო? იცით, რას გვპასუხობდნენ? კაცო, ეს ანაკლიაში ტარდება, შემოღობილი ტერიტორიაა და ეგ რა შუაშიაო“**

**„არ გახსოვთ, რა კომენტარებს აკეთებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები? ბიუჯეტი შეივსებაო. რა ვუთხარი ისეთ სახელმწიფოსა და ისეთ მთავრობას, რომელიც სექსინდუსტრიითა და ტურიზმით აპირებს სახელმწიფოს შენახვას“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ყირიმ-კონგოს წინააღმდეგ პრევენციული სამუშაოები დასრულდა



საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც ყირიმ-კონგოს ვირუსი დაფიქსირდა, შესაბამისმა სამსახურებმა პრევენციული სამუშაოები უკვე დაასრულეს.

სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში ყველა მსხვილფეხა საქონელი ტკიპებისგან თავის დასაცავად, რაც აღნიშნული ვირუსის გავრცელების წყაროა, სპეციალური მედიკამენტით ზედაპირულად დამუშავდა.

როგორც საქართველოს მთავარი ვეტერინარი მიხეილ სოხაძე აცხადებს, დაავადების გავრცელების ჯაჭვი გაწყვეტილია.

„იმ რაიონში, სადაც ინფიცირებულები იყვნენ, პრევენციული სამუშაოები ყველგან დასრულდა, ველოდებით ლაბორატორიულ შედეგებს“, – აცხადებს სოხაძე.

შეგახსენებთ, რომ პრევენციული სამუშაოების პროცესი გასულ კვირას დაიწყო. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სამეგრელოში რეგიონული მნიშვნელობის საავადმყოფოს მშენებლობა იწყება



დღეს საძირკველი ეყრება ეროვნული მნიშვნელობის მშენებლობას – რუხში რეგიონალური მნიშვნელობის საავადმყოფოს მშენებლობას ვიწყებთ, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუხში, საავადმყოფოს მშენებლობის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას.

პრემიერის განმარტებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, საერთაშორისო სტანდარტების კლინიკის პროექტი, რომელიც მთელ რეგიონს მოემსახურება, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა იყო.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, მრავალპროფილიანი, 220 საწოლზე გათვლილი კლინიკის კორპუსებთან ერთად აშენდება სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი, სადაც მოთავსდებიან რეზიდენტები და პაციენტთა ნათესავები, აგრეთვე, მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა.

„პროექტის ღირებულება 40 მილიონ ლარს აჭარბებს. ამ პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ის სერიოზულად გააუმჯობესებს სამეგრელოსა და მიმდებარე რეგიონებში სამედიცინო მომსახურებას და, რაც ყველაზე მთავარია, ერთმანეთთან დააკავშირებს ენგურის ორივე მხარეს. აქ მკურნალობას შეძლებენ ჩვენი აფხაზი ძმები, რომლებსაც ყველა იმ სიკეთით სარგებლობა შეეძლებათ, რასაც ქართული სახელმწიფო თავის მოქალაქეებს სთავაზობს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, საავადმყოფოს მშენებლობაზე დასაქმდება ადგილობრივი მუშახელი, დევნილები; ხოლო საავადმყოფოს ამოქმედების შემდეგ მათი დიდი ნაწილი გაივლის გადამზადებას და კლინიკის სხვადასხვა პერსონალის პოზიციებზე იმუშავებს.

„ჩვენი ვარაუდით, საბოლოოდ კლინიკაში დასაქმდება დაახლოებით 600 ადამიანი, სამედიცინო, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის ჩათვლით. ეს იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროც“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა და განმარტა, რომ მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ საკითხებს მთავრობა ეტაპობრივად აგვარებს.

მთავრობის მეთაური სიტყვით გამოსვლისას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასაც შეეხო და განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით შენდება ამბოლატორიები, რათა მკურნალობა ყველასთვის მისაწვდომი გახდეს.

„ამ საავადმყოფოს მშენებლობაც ჩვენი მთავრობის ჯანდაცვის პოლიტიკის ნაწილია. ამიტომ გპირდებით, პირადად ვადევნებ თვალყურს მშენებლობის პროცესს, რათა დაცული იყოს ყველა სტანდარტი და მშენებლობა დათქმულ დროს დამთავრდეს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (news.ge)

*მეშვიდე გვერდიდან*

აც და საქართველოს სხვა კუთხე-კუნჭული არის ჩვენი სახლი, ჩვენი ტერიტორია, ისიც ისე უნდა გვტკიოდეს, როგორც საკუთარი, მანამდე არაფერი გვეშველება და მსგავს ფესტივალებს ყოველთვის მოგვიწყობენ.

**— 20 აგვისტოს პოლიციამ „კაზანტიპამდე“ არ მიგიშვათ, ხიდთან შეგაჩერეს, ოფიციალურად, თითქოს ხიდის რემონტი მიმდინარეობსო. სინამდვილეში რა იყო მიზეზი, პოლიციელები რას ამბობდნენ პირად საუბრებში?**

– პირველი შეკითხვა, რაც ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა დასვა, როცა „კაზანტიპის“ საზღვართან მივედით, იყო: რამდენი საზღვარი უნდა გვქონდეს ქართველებსო. პოლიციელებმა ეპისკოპოსის კითხვაზე თავი ჩაღუნეს და მერე თავი გაიმართლეს, ჩვენ რა ვქნათ, რასაც გვავალებენ, იმას ვაკეთებთო. მართლაც რამდენი საზღვარი უნდა არსებობდეს? როგორ შეიძლება, ეპისკოპოსს არ აქვს საშუალება, თავის ეპარქიაში აღასრულოს ის, რაც დავალებული აქვს საპატრიარქოსგან და სხვათა შორის, კონსტიტუციითაც აქვს მინიჭებული ამის უფლება, რომ თავისი მოვალეობა აღასრულოს. ვგულისხმობ იმ შეთანხმებას, რომელიც გაფორმებულია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რომელიც ნებისმიერ კანონზე მაღლა დგას.

**— და რაო, რა დაგვაველესო, რას ამბობდნენ პოლიციელები?**

– არ აკონკრეტებდნენ, მაგრამ არ გახსოვთ, რა კომენტარებს აკეთებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები? ბიუჯეტი შეივსებაო. რა ვუთხარი ისეთ სახელმწიფოს და ისეთ მთავრობას, რომელიც სექსინდუსტრიითა და ტურიზმით აპირებს სახელმწიფოს შენახვას. ჩვენ ვნახეთ, რომ იქ არავინ ჩავიდა ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, თვითონ „კაზანტიპის“ ორგანიზატორი გამობრძანდა და თქვა, იმხელა ზარალი ვნახეთ, აწი საქართველოში კი არა, სხვაგანაც ვერ ჩავატარებთ ამ ფესტივალს, იმდენი დავხარჯეთ, იმ ფულის ამოღებასაც ვერ ვახერხებთო. მისი დამოკიდებულება სასულიერო პირების მიმართ იყო ძალიან ირონიული, დამცინავი ხასიათის, ახლა კი ტირილად შემოუბრუნდა. იმიტომ, რომ ეკლესია არის ლოდი თავკიდული და ვაი მას, ვისაც ის დაეცემა.

რაც მეტად შეუწყობს ხელს ხელისუფლება ამგვარ ვითომ ფესტივალებს, ანუ ეკლესიის წინააღმდეგ აშკარა წასვლას, უკან შეუბრუნდება, თანაც ძალიან ცუდად, ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა არავის შერჩენია. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის შეგონების საწინააღმდეგო ქმედებები საზოგადოებამ დაგმო, როცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არჩევნებზე არ მივიდა. ეს ტენდენცია დასაწყისია და უკან ცუდად შემოუბრუნდება მათ. ბევრჯერ გადაასხამს საზოგადოება ხელისუფლებას ცივ შხაპს, რადგან სამართლიანობის აღდგენის კუთხითაც დიდი პრობლემებია და ეს თემა ხელისუფლებაში ყველას მიავიწყდა. ხალხს სამუშაო დღის შემცირებასა და ხელფასის მომატებაზე მეტად სამართლიანობის აღდგენა უნდა. როცა ხელისუფლება ასეთ საზოგადოებას უღირსად მოექცევა და მოატყუებს, მას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ეს საზოგადოება შემდეგში ხმას მისცემს. დღეს საქართველოში სულიერების პრობლემაა და არა უმუშევრობის.



„რა სამწუხაროა, რომ ჩვენს ერს ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებში არ გაუმართლა. ყველამ იცის, რომ თუ ხელისუფლების წინააღმდეგ წავა, კარიერას ვერ გაიკეთებს, ამიტომაც არ აკეთებენ საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევ განცხადებებს. იქ არ მინახავს ის ადამიანები, ვინც პარლამენტში ჩოხა-ახალუხით დადიან და კამერების წინ პოზიორობენ ხოლმე“



„სინამდვილე ის არის, რომ „კაზანტიპის რესპუბლიკის“ კანონის მიხედვით 30-მდე წყვილი დაქორწინდა უკვე, მათ შორის იყო ერთი ლესბოსელების წყვილი. ტელევიზიებით მხოლოდ იმას აჩვენებენ, რაც აწყობთ. კიდევ კარგი, ის მასშტაბები არაა, რამდენსაც ელოდებოდნენ. იცით, რატომ? მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ სპეცსამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი იმყოფება ადგილზე და ისინი აკონტროლებენ სიტუაციას. ჩვენს ხელისუფლებას სურს, გამოჩნდეს, რომ გარყვნილების პროპაგანდისტი არაა და რამდენიმე ფაქტი გამოავლინა და კიდევ კარგი, ამდენი მაინც მოიფიქრეს“

**— დანამდვილებით იცით, რომ ხელისუფლებიდან არავინ გამოჩენილა „კაზანტიპზე“?**

– არავინ და ძალიან სამარცხვინო ისაა, რომ ზოგადად, პოლიტიკოსებიდან მხოლოდ ორი ადამიანი გამოჩნდა, ვინც ჩვენს პროტესტს შემოუერთდა – დიმა ლორთქიფანიძე და ჯონდი ბაღათურია იმყოფებოდნენ იქ. ამას გულისტკივილით აღნიშნავდნენ სასულიერო პირებიც. ფერისცვალება დღეს, როცა ეკლესიამ ასეთი განცხადება გააკეთა, არც ერთი პარლამენტარი, არც ერთი ხელისუფალი, უბრალო ჩინოვნიკიც კი ვერ ბედავს იმას, რომ გამოხატოს, რომ არ ეთანხმება ამ უზნეობას. რა სამწუხაროა, რომ ჩვენს ერს ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებში არ გაუმართლა. ყველამ იცის, რომ თუ ხელისუფლების წინააღმდეგ წავა, კარიერას ვერ გაიკეთებს, ამიტომაც არ აკეთებენ საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევ განცხადებებს. იქ არ მინახავს ის ადამიანები, ვინც პარლამენტში ჩოხა-ახალუხით დადიან და კამერების წინ პოზიორობენ ხოლმე. ჩვენ ჩრდილოკორეული ერთსულოვნებით მიღებული კანონიც ვნახეთ და ამის მერე რა უნდა გაგვიკვირდეს? ეს ბელადომანია როდის უნდა დასრულდეს ქვეყანაში, როდის უნდა გაჯანსაღდეს ეს პოლიტიკური ველი?

**— „კაზანტიპის“ მოწინააღმდეგეები ამბობდით, ეს ფესტივალი სინამდვილეში ორგიები და გარყვნილების პროპაგანდააო, მაგრამ ტელევიზიებით აჩვენეს, რომ ორგანიზატორებმა წესების დარღვევისთვის ორი ადამიანი თავად გააძევეს. ერთი გოგონა, რომელიც მეორე გოგონას ეალერსებოდა და მეორე — ვიღაც ბიჭი, რომელსაც შეუფერებელ ადგილას მოუშარდავს. სინამდვილეში ასე არ არის და გვიმალავენ?**

„რაც მეტად შეუწყობს ხელს ხელისუფლება ამგვარ ვითომ ფესტივალებს, ანუ ეკლესიის წინააღმდეგ აშკარა წასვლას, უკან შეუბრუნდება, თანაც, ძალიან ცუდად, ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა არავის შერჩენია. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის შეგონების საწინააღმდეგო ქმედებები საზოგადოებამ დაგმო, როცა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არჩევნებზე არ მივიდა. ეს ტენდენცია დასაწყისია და უკან ცუდად შემოუბრუნდება მათ“

– სინამდვილე ის არის, რომ „კაზანტიპის რესპუბლიკის“ კანონის მიხედვით, 30-მდე წყვილი დაქორწინდა უკვე, მათ შორის იყო ერთი ლესბოსელების წყვილი. ტელევიზიებით მხოლოდ იმას აჩვენებენ, რაც აწყობთ. კიდევ კარგი, ის მასშტაბები არაა, რამდენსაც ელოდებოდნენ. იცით, რატომ? მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ სპეცსამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი იმყოფება ადგილზე და ისინი აკონტროლებენ სიტუაციას. ჩვენს ხელისუფლებას სურს, გამოჩნდეს, რომ გარყვნილების პროპაგანდისტი არაა და რამდენიმე ფაქტი გამოავლინა და კიდევ კარგი, ამდენი მაინც მოიფიქრეს. ბევრი რამ პიარის საკითხია, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა ხდება, კარვებში ხომ არ შევუვარდებით. საერთოდაც, არავინ იცის, ეს ეგზალტირებული ბრბო, ნარკოტიკისა და სასმელის მიღების შემდეგ რას მოიმოქმედებს, რადგან ბევრი ხალხი ირევა და ყველაფრისთვის თვალის მიდევნება ადვილი არ არის.



„ბევრი რამ პიარის საკითხია, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა ხდება, კარვებში ხომ არ შევუვარდებით. საერთოდაც, არავინ იცის, ეს ეგზალტირებული ბრბო, ნარკოტიკისა და სასმელის მიღების შემდეგ რას მოიმოქმედებს, რადგან ბევრი ხალხი ირევა და ყველაფრისთვის თვალის მიდევნება ადვილი არ არის“

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ახალგორის მიმართულებით მოძრაობა აკრძალულია




ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის გადაწყვეტილებით, ახალგორის მიმართულებით მოძრაობა დღეს დილიდან აიკრძალა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა და, სავარაუდოდ, რუსეთის მიერ ცხინვალის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ გააკეთა განცხადება, 27 აგვისტოს კი აღნიშნული რუსეთის უმაღლესმა სათათბირომ გააფორმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სკოლის ექიმებს რეცეპტის გამოწერის უფლება ექნებათ

სკოლების სამედიცინო კაბინეტების ექიმებს რეცეპტის გამოწერის უფლება ექნებათ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, განათლების სამინისტროს 100 სკოლა აქვს შერჩეული, სადაც სამედიცინო კაბინეტი გაიხსნება. ლიცენზირებული ექიმებს დადგენილი სტანდარტისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აარჩევს.

„უკვე დასრულებულია სარემონტო სამუშაოები, შესყიდულია ინვენტარი. გეოგრაფიული დაფარვა უზრუნველყოფილია, ეს არ არის ერთი ქალაქის სკოლები. 2015 წლიდან სამედიცინო კაბინეტებს უფრო ინტენსიურად დავამატებთ. ეს იქნება ოჯახის ექიმის პროფილის მქონე ადამიანი. საუბარი გვაქვს ექიმზე და არა ექთანზე. ეს უნდა იყოს ზოგადი სახის მკურნალი ექიმი“, – დასძინა სანიკიძემ.

მინისტრს განმარტებით, განათლების სამინისტრო წელს სკოლებში უკვე სხვა ცვლილებებს იწყებს. სასწავლო წლის ხანგრძლივობა ზამთრის არდადეგების ხარჯზე გაიზარდა და 36-კვირიანი გახდა, რითაც პრაქტიკულად საერთაშორისო სტანდარტს გაუთანაბრდება.

მისივე თქმით, მეორე უცხო ენის სწავლება, მეშვიდე კლასის ნაცვლად, მეხუთე კლასში დაიწყება. მეორე უცხო ენას კი სკოლა აირჩევს და მას სახელმწიფო დააფინანსებს. მეექვსე კლასის ზემოთ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი შემოდის და დამატებითი საათი დაეთმობა. მინისტრის განცხადებით, ასევე მომზადდა მეწარმეობის კურსის სტანდარტი.

„გვინდა, მეწარმეობის კურსი შევიტანოთ სკოლაში, როგორც არჩევითი საგანი. ამის პილოტირებას 15 სექტემბრიდან 100 სკოლაში დავიწყებთ. რესურსების მომზადება საქართველოს სავაჭრო პალატის მიერ არის დაფინანსებული. სასწავლო რესურსების კუთხითაც გარკვეული მრავალფეროვნება გვაქვს. ასევე 900-მდე სკოლაში სპეციალური მასწავლებელი გვეყოლება. სკოლებში, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსს) მქონე ბავშვები სწავლობენ, აუცილებელია, იყოს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მასწავლებელს ასეთი ბავშვების განათლებაში დაეხმარება. ამისთვის სპეციალურად გადამზადდნენ მასწავლებლები და სკოლაში ეს სერვისი შევიტანეთ. წარმოიდგინეთ, როდესაც არც ერთ სკოლაში არ ყოფილა და უცებ, ასეთი საჭიროება 900 სკოლაში გამოჩნდა. ეს ნიშნავს, რომ მშობლებმა გამოიყვანეს ასეთი ბავშვები სახლიდან და მოიყვანეს სკოლაში, ეს მართლაც ძალიან დიდი მიღწევაა“, – აღნიშნა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# 15 სექტემბრიდან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით აქტიური მოქმედებები იწყება

**რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად დაფუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალი რეალობისთვის“. დამფუძნებლები არიან: მწერალი მერაბ შათირიშვილი, მომღერალი ციური მჭედლიძე, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი თემურ ლომსაძე, „საქწიგნის“ დირექტორის მოადგილე ლია მეტრეველი და სხვები. ეს ის ორგანიზაციაა, რომლის შექმნაც მერაბ შათირიშვილმა გადაწყვიტა „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის შემდეგ. როგორც თავად შათირიშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, საზოგადოება „ახალი რეალობისთვის“ 15 სექტემბრიდან გააქტიურდება.**



**ჩვენი კანონმდებლობა ამ ქვეყანაში იცავს ყველას, გარდა ქართველისა. გამოდის, ჩვენ ვიჩაგრებით საკუთარ სამშობლოშიც და უცხოეთშიც.**

– 15 სექტემბრისთვის იქნება ფართომასშტაბიანი შეკრება ჭადრაკის სასახლეში. სწორედ იქ გადავწყვეტთ, რა ფორმით მოვითხოვთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. შეიძლება ეს „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აწყობს, მაგრამ ვფიქრობთ, ქართველ ხალხს ასეთი მოთხოვნა ნამდვილად აქვს.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება არც უმრავლესობას აწყობს.**

– ეგ გასაგებია, მაგრამ, თუკი უგულავები, ახალაიები, მერაბიშვილები ციხეში არიან, თუკი „ნაცმოძრაობის“ დამფუძნებლებისა და სულისჩამდგმელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, მაშინ კიდევ ორი წელი რატომ უნდა ვითმინოთ ის მარაზმი, რაც დღეს ხდება? ასეთი რევანშისტული დაძაბულობა, რასაც ვითომ მეორე პოლიტიკური ძალა აკეთებს, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. პარლამენტში უნდა იწერებოდეს კანონები და იყოს ჯანსაღი კამათი და არა მტრული განწყობა. როცა ორი ძალა მტრულადაა განწყობილი, აქედან ქვეყანა ვერ იხეირებს, ჩვენ უკვე კატასტროფისკენ მივდივართ. ჩვენ ვამბობთ, თუკი სააკაშვილი უნდა გასამართლდეს, მაშინ ასევე უნდა გასამართლდეს მის მიერ შექმნილი კრიმინალური ორგანიზაცია. ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები არ იყო დემოკრატიული, ჩვენ „ნაციონალების“ მიერ გაყალბებული არჩევნები იძულებით ვაღიარეთ, რომ შეგვენარჩუნებინა სიმშვიდე. დაუკვირდი, უმრავლესობის წევრები მუდმივად თითს იშვერენ „ნაციონალებისკენ“ და გაიძახიან: თქვენ კლავდით, თქვენ ხოცავდით ადამიანებს ქუჩაში, თქვენ იპარავდით, თქვენ ათასგვარ სიბინძურეს სჩადიოდით! კი, მაგრამ როცა შენ ამ მკვლელებთან და ქურდებთან ერთად ზიხარ, მაშინ რა გამოდიხარ, თანამზრახველი? ეს არის ნონსენსი, ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. საზოგადოებაში უკვე მომწიფებულია აზრი, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. თუ ხელისუფლება არ წამოვა ამაზე, მაშინ მოხდება ლუსტრაცია და გავიგებთ, რომ ზოგიერთს ქართველი ხალხის დამშვიდება და დასვენება არ სურს. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღძრულია, ზოგი დაპატიმრებულია, უკვე დასტურდება, რომ ადგილი ჰქონდა კოლექტიურ დანაშაულებს, ახლა ამიხსნას ვინმემ, რატომ უნდა ისხდნენ დამნაშავეები და მკვლელები პარლამენტში? ვადამდელი არჩევნების ჩატარება იოლი არ არის, ამ პროცედურას დაახლოებით 6 თვე მაინც სჭირდება.

**— აი, შენ თვითონ ამბობ, 6 თვე მაინც სჭირდებაო. ალბათ, უფრო მეტი დასჭირდება, სადღაც 12 თვე. გარდა ამისა, ვიმეორებ, ამას არ გააკეთებს თვითონ საპარლამენტო უმრავლესობა. თუკი ამ პროცედურებში 1 წელი გავა, შემდეგ არჩევნებამდე რაღა რჩება?**

– ქართველმა ხალხმა ერთი თვეც არ უნდა გადადოს. მოდი, თავი დავანებოთ „ნაციონალებს“, ეს პარლამენტი ხმას არ იღებს და არც შესაბამის კანონებს ამუშავებს მაშინ, როცა ჩვენი ბაზარი მიაქვს თურქულ და ირანულ საქონელს. მე ადამიანების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ საქართველოში ძალიან ბევრი შემოდის აზიური ქვეყნებიდან და ამ დროს ქართველები საკუთარი სამშობლოდან გარბიან. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ვინ უნდა იყოს მოქალაქე და ვინ – არა. უამრავი რამ არის სასწრაფოდ გამოსასწორებელი, უამრავი რამ არის შესაცვლელი, მაგრამ არ კეთდება. ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ დაპირისპირებას, მუქარას, ლანძღვა-გინებას და ასე შემდეგ, ეს არის საქმის კეთება?

**— მერაბ, ხომ არ დაემსგავსება თქვენი საქმიანობა წყლის ნაყვას? ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმაც განაცხადა, არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო. დარწმუნებული ხარ, რომ რამეს მიაღწევთ?**

– დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ყველაფერს პასუხი გაეცემა და გამოჩნდება, ვინ ვინ არის. საზოგადოება იმასაც გაიგებს, ხელისუფლებას რამის შეცვლა უნდა თუ არა. ჩვენ არავის არ ვუპირისპირდებით, არავის არ ვეუბნებით, გადადექი და ჩვენ მოვალთო. არავის არაფერში არ ვეცილებით, ხალხს მოვუწოდებთ, რომ უფრო მეტი გააქტიურებაა საჭირო, ქვეყანაში უნდა შეიცვალოს პოლიტიკური ვითარება. თუ ხელისუფლება ვერ შორდება დამნაშავეებს და პარლამენტში ისევ ამ მკვლელებთან ზის, მაშინ საზოგადოება აიღებს პასუხისმგებლობას და მათ მოაშორებს პოლიტიკური ველიდან.

უამრავი საკითხი გვექცა პრობლემად, ამ ყველაფერს თანდათანობით დავალაგებთ. მაგალითად, ბრიტანეთის მოქალაქე რომ გახდე, უნდა იცოდე ამ ქვეყნის ისტორია, ენა, ტრადიციები და ასე შემდეგ. ახლა დაუმატებიათ, სამი ინგლისელი პოეტის ნაწარმოებებიც, ერთი მათგანი არის შექსპირი. ჩვენ დღეს მოქალაქეობას ვაძლევთ ადამიანებს, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცით, საიდან მოვიდნენ და რა უნდათ. ქართული ენა კი არა, იმას ვერ აგებინებენ, სად არიან შემოსულები. ჩვენი კანონმდებლობა ამ ქვეყანაში იცავს ყველას, გარდა ქართველისა. გამოდის, ჩვენ ვიჩაგრებით საკუთარ სამშობლოშიც და უცხოეთშიც. რამდენიმე დღის წინ თურქეთში ბოლნისელი ბიჭი მოკლეს, შაურმის გამყიდველთან შეკამათება მოუვიდა, დაეხვივნენ თურქები, გადახტა რაღაც სიმაღლიდან, გაქცევა უნდოდა და იქვე გააფრთხო სული. ვინმემ ამის გამო პასუხი მოითხოვა, ან ვინმე დაისაჯა? აბა, ერთი ცოტა მკაცრად უთხარი რამე საქართველოში უცხოელს, ისევ შენ დაისჯები. ამ ყველაფერს მიხედვა უნდა, მაგრამ ამ პარლამენტის პირობებში არაფერი გამოვა, ესენი დადიან, დასეირნობენ, თან იძახიან, დღე და ღამე ვმუშაობთო. თუ მუშაობენ, გაკეთებული საქმეც უნდა ჩანდეს. სამწუხაროდ, ქართველი ხალხი ამას ვერ ხედავს. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საჭიროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

**— მერაბ, შენამდე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვდნენ სხვებიც, მაგალითად, გია გაჩეჩილაძე, შალვა ნათელაშვილი, თემურ შაშიაშვილი, ჯონდი ბაღათურია, სოსო ჯაჭვლიანი, თანახმა იყო მანანა კობახიძეც და ასე შემდეგ. რომელიმესთან კონსულტაციები გქონდა, დაელაპარაკე რომელიმეს, რომ ერთობლივად იმოქმედოთ?**

– არა, ჩვენ არავის არ დავლაპარაკებივართ, მით უმეტეს, პოლიტიკოსებს. ჩვენ ამ მოძრაობას ვიწყებთ საზოგადოების წიაღიდან. პირადად მე არ მინდა, პოლიტიკოსების მხრიდან დავიწყო ეს აქციები, როგორც კი პოლიტიკოსები დაიწყებენ ლაპარაკს, ეგრევე მოგვაკერებენ ათასნაირ იარლიყს, დაიწყება შემოგდებები, ინტრიგები და ასე შემდეგ.

**— შემოგდებები და ინტრიგები ისედაც არ გაჭირდება... თუკი პოლიტიკოსები შემოგიერთდებიან, უარს იტყვით?**

– შემოგვიერთდნენ, როგორც საზოგადოების წარმომადგენლები, პარტიებზე უარს ვამბობთ. ეს მოთხოვნა უნდა გახდეს საზოგადოებრივი, ხალხმა გადაწყვიტოს ყველაფერი.

**— მოთხოვნებს რა ფორმით წამოაყენებთ, მონახაზი მაინც გაქვთ? ქუჩაში გამოხვალთ თუ მხოლოდ განცხადებებს გააკეთებთ?**

– როცა რა იქნება საჭირო, იმას გავაკეთებთ, ეს ხალხის აქტივობაზე იქნება დამოკიდებული. განცხადებებიც იქნება, ქუჩაში გამოსვლაც იქნება, ერთჯერადი აქციებიც იქნება და ასე შემდეგ. ეგ მეც ვიცი, რომ ჩვენამდე ბევრმა მოითხოვა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ეს იყო მხოლოდ განცხადებების დონეზე და ამას აკეთებდნენ მხოლოდ ცალკეული პიროვნებები, ახლა ეს იქნება ორგანიზებული საზოგადოების მხრიდან.

**„დაუკვირდი, უმრავლესობის წევრები მუდმივად თითს იშვერენ „ნაციონალებისკენ“ და გაიძახიან: თქვენ კლავდით, თქვენ ხოცავდით ადამიანებს ქუჩაში, თქვენ იპარავდით, თქვენ ათასგვარ სიბინძურეს სჩადიოდით! კი, მაგრამ, როცა შენ ამ მკვლელებთან და ქურდებთან ერთად ზიხარ, მაშინ რა გამოდიხარ, თანამზრახველი? ეს არის ნონსენსი, ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება“**

**ბრიტანეთის მოქალაქე რომ გახდე, უნდა იცოდე ამ ქვეყნის ისტორია, ენა, ტრადიციები და ასე შემდეგ. ახლა დაუმატებიათ, სამი ინგლისელი პოეტის ნაწარმოებებიც, ერთი მათგანი არის შექსპირი.**

**აბა, ერთი ცოტა მკაცრად უთხარი რამე საქართველოში უცხოელს, ისევ შენ დაისჯები. ამ ყველაფერს მიხედვა უნდა, მაგრამ ამ პარლამენტის პირობებში არაფერი გამოვა, ესენი დადიან, დასეირნობენ, თან იძახიან, დღე და ღამე ვმუშაობთო.**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## კილომეტრიანი რიგები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე



აზერბაიჯანული მედიის ცნობით, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტ სიმიგ კერპიუსთან საქართველოს მხრიდან რამდენიმეკილომეტრიანი საცობია. საცობში გაჭედილი მგზავრები იძულებულები იყვნენ ღამე ავტომანქანებში გაეთიათ. მათი თქმით, საცობის წარმოშობის მიზეზი მათთვის უცნობია. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, მათ სასაზღვრო გამშვები პუნქტის ქართული მხრიდან აცნობეს, რომ საცობის მიზეზი მგზავრთა ნაკადის გაზრდაა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პუტინმა ხაჯიმბას „საპრეზიდენტო არჩევნებში“ გამარჯვება მიულოცა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რაულ ხაჯიმბას აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნებში“ გამარჯვება მიულოცა.

როგორც აფხაზური მედია წერს, მისალოც შეტყობინებაში რუსეთის პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ რაულს ხაჯიმბას საქმიანობა ხელს შეწყობს ეროვნული კონსენსუსის მიღწევას, უზრუნველყოფს შიდა სტაბილურობას, ეფექტურად გადაწყვეტს აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანებს. ვლადიმერ პუტინმა მზადყოფნა დაადასტურა, მჭიდრო და ერთობლივი თანამშრომლობით გამყარდეს რუსეთ-აფხაზეთს შორის მეგობრული ურთიერთობები, ასევე ურთიერთსასარგებლო ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში.

აფხაზეთში ე.წ. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 24 აგვისტოს გაიმართა. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთი ნატოს სამიტზე არ მიიწვიეს

NATO-მ არამიზანშეწონილად ჩათვალა მოიწვიოს რუსეთის ფედერაციის ოფიციალური დელეგაცია 2014 წლის 4-5 სექტემბერს დანიშნულ სამიტზე, რომელიც უელსში გაიმართება.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ სამიტზე გაიმართება მსჯელობა NATO-ს კოლექტიური უსაფრთხოების ზომების განახლებაზე, მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობების გათვალისწინებით, ასევე საუბარი იქნება NATO-ს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე, მათ შორის საქართველოსა და უკრაინასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ აპრილში იქნა მიღებული. (ნიუპოსტი)



# რატომ დატოვა „ენდიაის“ შეფმა, ლუის ნავარომ საქართველო საიდუმლოდ?

ამერიკის დემოკრატიულმა ინსტიტუტმა „ენ-დი-აი“-მ სოციოლოგიური კვლევის ახალი შედეგები გამოაქვეყნა და აქვე ისიც გვამცნო, რომ მისმა აქაურმა დირექტორმა, ლუის ნავარომ საქართველო დატოვა. არადა, ეს ის ნავაროა, რომელიც დაახლოებით ამ ორი თვის წინ მართლმადიდებლად მოინათლა და დაიფიცა, აქ უნდა დავიმარხო, საქართველოდან ფეხის გამდგმელი აღარ ვარო. ეს ასევე ის ნავაროა, რომელიც წლების მანძილზე „ნაციონალების“ სასურველ პროცენტებს დებდა ყოველი არჩევნების წინ და გაყალბებებს „უპრავებდა“, რაშიც, თითქოს, სოლიდურ თანხებს იღებდა. ერთ-ერთი ინფორმაციით კი, ის ამას „ნაციონალებს“, მასზე არსებული კომპრომატების გამო, იძულებით უკეთებდა.

რატომ წავიდა ნავარო საქართველოდან, ხომ არ არის ეს სინამდვილეში გაქცევა? და რას უნდა გაქცეოდა, წლების მანძილზე ფინანსური დაინტერესებით, გაყალბებული არჩევნების „გაპრავების“ გამო, პროკურატურაში დაბარებას ხომ არა?

„ალიას“ ესაუბრება პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე:**

**— „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევის შედეგები ლუის ნავაროს შემცვლელმა გააჟღერა და ისიც გვითხრა, რომ ნავარომ არა მხოლოდ „ენ-დი-აი“, არამედ საქართველოც დატოვა. ჩვენ გვახსოვს, როგორ მოინათლა ლუის ნავარო და განაცხადა, რომ ის საქართველოში აპირებდა ცხოვრებას. თუმცა მალულად დატოვა ქვეყანა. ეს ეჭვებს არ ბადებს?..**

– კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა გახდა ნავაროს მხრიდან ქვეყნის ან ორგანიზაციის დატოვების მიზეზი, არ მაქვს, მოვისმინე მხოლოდ ნავაროს შემცვლელი ქალბატონის განცხადება, რომ „ენდიაის“ ოფისის აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი დროებით წავიდა შტატებში და ის უახლოეს მომავალში დაბრუნდება. ქვეყანა არ არის ის ადგილი, სადაც სულ ხარ, საქართველოში ვიცხოვრებ, არ ნიშნავს, რომ მთელი 12 თვის განმავლობაში აქ იქნები, თუმცა გეთანხმებით, რომ ძალიან საეჭვო ვითარებაში დატოვა მან ორგანიზაციაც და ქვეყანაც.

**— ნავაროს მიმართ არსებობდა სერიოზული შეკითხვები. გარდა იმისა, რომ მუდმივად ადანაშაულებდნენ კვლევების „ნაციონალების“ სასარგებლოდ გაყალბებაში, მედიით არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მას ამისთვის სერიოზულ ფულს უხდიდა, რომ კომპრომატებით აშანტაჟებდა და ა.შ. შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ სწორედ ამ ფულის გამო პროკურატურაში უპირებდნენ დაბარებას და გაქცევით თავს უშველა?**

– გეთანხმებით, რომ ეს გარემოებები არის ძალიან საეჭვო და არ არის გამორიცხული, თქვენ მიერ დასახელებული ვერსიაც, იმიტომ, რომ იმდენ ადამიანზე ჩატარდა ამ ტიპის მანიპულაციები „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, გამორიცხვა, ბუნებრივია, ძალიან რთულია, რომ ასე მომხდარიყო ნავაროს შემთხვევაშიც. თუმცა ის ფაქტი, რომ ორგანიზაციის ახალმა ხელმძღვანელმა, ფაქტობრივად, გააგრძელა ნავაროს პოლიტიკა, ეს მიჩენს იმის ეჭვს, რომ საქმე მხოლოდ პერსონალურად ნავაროში არ არის. უფრო ღრმა ფესვები აქვს „ენდიაის“ სიყვარულს „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

**— კონკრეტულად რა შეიძლება იყოს ასეთი ძლიერი სიყვარულის მიზეზი?**

– კონკრეტულად მიჭირს დაზუსტებით თქმა, რა არის ასეთი ძლიერი სიყვარულის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ ნავარო აღარ არის და დამოკიდებულება იგივეა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, სხვა რა უნდა იფიქრო. მიზეზია აშშ-ს „რესპუბლიკური პარტია“ და ევროპის „სახალხო პარტია“, სხვა მიზეზს უბრალოდ, ვერ ვპოულობ.

**„ეს გარემოებები არის ძალიან საეჭვო და არ არის გამორიცხული, თქვენ მიერ დასახელებული ვერსიაც, იმიტომ, რომ იმდენ ადამიანზე ჩატარდა ამ ტიპის მანიპულაციები „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, გამორიცხვა, ბუნებრივია, ძალიან რთულია, რომ ასე მომხდარიყო ნავაროს შემთხვევაშიც“**

**— ნავაროს საქმიანობაზე პროკურატურის შესაძლო დაინტერესებაზე გკითხეთ. გამორიცხავთ, რომ „ნაციონალების“ მიერ მისთვის გადახდილი ფინანსების კვალზე გავიდა პროკურატურა?**

– ეს ისეთი წასვლა არ არის, როგორსაც ელოდები, ზოგადად ხდება ასე, რომ ადამიანი როდესაც მოდის, ის აკეთებს საჯარო განცხადებას. მოსვლისას აცნობს თავს საზოგადოებას და როცა უკვე ასრულებს თავის მოღვაწეობას კონკრეტულ სფეროში, უხდის მადლობას იმ საზოგადოებას, რომელთანაც ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა და შემდეგ ტოვებს პოსტს. ნავაროს საქციელი, რა თქმა უნდა, არატიპურია და ეჭვებს აჩენს, მაგრამ მარტო ეჭვის საფუძველზე რაიმეს მტკიცება რომ დავიწყო, არ ვიქნები მართალი. ვნახოთ, დრო გამოაჩენს, რა მოხდა სინამდვილეში.



**„ეს ისეთი წასვლა არ არის, როგორსაც ელოდები, ზოგადად ხდება ასე, რომ ადამიანი როდესაც მოდის, ის აკეთებს საჯარო განცხადებას. მოსვლისას აცნობს თავს საზოგადოებას და როცა უკვე ასრულებს თავის მოღვაწეობას კონკრეტულ სფეროში, უხდის მადლობას იმ საზოგადოებას, რომელთანაც ამ ხნის განმავლობაში მუშაობდა და შემდეგ ტოვებს პოსტს. ნავაროს საქციელი, რა თქმა უნდა, არატიპურია და ეჭვებს აჩენს“**

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს ეკა ჩიჩუას:**

**— ეკა, პროკურატურაში ლუის ნავარო დაბარებული ხომ არ იყო, ან ხომ არ იგეგმებოდა მისი დაკითხვა?**

– ბუნებრივია, ყველა პირის შესახებ, ვის დაბარებასაც აპირებენ დაკითხვაზე, არ გვაქვს ინფორმაცია. ამიტომ ახლა ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ ინფორმაციას, იყო თუ არა დაინტერესებული პროკურატურა ლუის ნავაროს საქმიანობით. მოვიძიებ ინფორმაციას და აუცილებლად შეგატყობინებთ უახლოეს დღეებში.

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჯაბა სამუშია თბილისის ბიუჯეტის შეცვლას ითხოვს



თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯაბა სამუშია, დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ითხოვს, რადგან თბილისის გამგეობები და საქალაქო სამსახურები თავისუფალი დასახარჯი თანხის გარეშე არიან დარჩენილი. სამუშია განმარტავს, რომ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და სოციალური პროგრამების კუთხით.

„თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ძალიან დიდი პრობლემებია ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილშიც. თბილისის წინა მთავრობის მიერ ბიუჯეტი 785 მილიონი ლარით განისაზღვრა. აქედან 40 მილიონი ლარი ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოთა ქონების გადასახადიდან იყო გათვალისწინებული. თუმცა ამას არ ითვალისწინებდა არსებული საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ლაფსუსი არჩევნებამდე თბილისის ძველი მთავრობის წევრებმაც აღიარეს და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხიც დააყენეს, თუმცა იმ მომენტში ეს ვერ მოხერხდა. რეალურად, დღეისთვის ეს თანხა თბილისის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. საჭიროა ბიუჯეტის მთლიანი ცვლილებები, როგორც რაიონების, ასევე მერიის სამსახურების ჩათვლით“. – განაცხადა სამუშიამ.

ჯაბა სამუშია მერიას მიმართავს, გაითვალისწინოს კომისიის მიერ მომზადებული ანალიზი და მოამზადოს ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პაკეტი.

თავის მხრივ, დავით ნარმანია განმარტავს, რომ დედაქალაქის ახალ მთავრობას პრაქტიკულად ამოწურული დახვდა ბიუჯეტის სოციალური დაცვის ნაწილი, ისევე როგორც რაიონული გამგეობების ხარჯთაღრიცხვები.

„ჩვენ იძულებული გავხდით, სოციალური დაცვის ნაწილში ბიუჯეტის სხვა ნაწილებიდან გადმოგვეტანა დაფინანსება, რათა წლის ბოლომდე სოციალურად დაუცველ თბილისელებს აუცილებელი მომსახურება არ მოაკლდეთ. ამ მიზნით, ჩვენ საკრებულოს წარვუდგენთ ბიუჯეტში ცვლილებას, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა წინამორბედებმა ბიუჯეტი პრაქტიკულად დააცარიელეს, საშემოსავლო ნაწილში არარეალურად მაღალი ციფრები ჩაწერეს, რის გამოც მისი შესრულება წლის პირველ ნახევარში ვერ შეძლეს“. – განაცხადა ნარმანიამ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მარგველაშვილმა ნატო-ს სამიტთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა



საქართველოს პრეზიდენტმა უელსში დაგეგმილ ნატო-ს სამიტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე დავით დონდუა დაესწრნენ. მარგველაშვილმა ნატო-ს უელსის სამიტის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

„სამიტი მოახლოვდა და ის პოზიციები განვიხილეთ, რაც ნატო-საქართველოს პაკეტთან დაკავშირებით გვაქვს. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, პრეზიდენტს ამ საკითხებთან დაკავშირებით ყველა დეტალი მოვახსენეთ. სამიტზე წასვლამდე კიდევ გვექნება შეხვედრა, სადაც სამინისტროები ერთობლივ წინადადებებს წარმოადგენენ“, – განაცხადა ალასანიამ.

ნატო-ს სამიტი 4-5 სექტემბერს გაიმართება. საქართველოს დელეგაციას გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. (ნიუპოსტი)



# ხელისუფლებამ მამა ბასილის ორჯერ არ მოუსმინა და დარიალში მეწყერი ორჯერ ჩამოწვა

## რაზე აფრთხილებს მოძღვარი მთავრობას მესამედ?

**„ალიას" ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი ესაუბრა:**

**— მამაო, წინა ინტერვიუში მითხარით, მაისში დარიალის ხეობაში მეწყერი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ ჩამოწვაო და ხელისუფლება გააფრთხილეთ, თუ ეკლესიას არ მოუსმენთ, უარესიც მოხდებაო. ოთხი დღის წინ მეორე მეწყერი „კაზანტიპის" დაწყებას დაემთხვა...**

– მე, როგორც სასულიერო პირი, ყოველთვის ვქადაგებდი და ახლაც იგივეს გავიმეორებ, რისთვის არსებობს ეკლესია-მონასტრები და როგორ ეხმარება სასულიერო პირთა ლოცვა ქვეყანას. არ იფიქროთ, ღმერთმა დამიფაროს თავი წინასწარმეტყველად წარმოგიდგინოთ, მაგრამ ჩვენ ვბაძავთ წმიდა მამებს კეთილ საქმეებში, ამიტომ გვეძლევა სულიერი ხედვა. სწორედ ამ სულიერი ხედვით ვაფრთხილებდი ხელისუფლებას თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ ჩვენ თუ არ ავლაგმეთ სოდომ-გომორის ცოდვები ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ყოველთვის ღვთის რისხვა დაგვატყდებოდა თავს. ახლა, როცა 20 აგვისტოს ანაკლიაში გაიხსნა „კაზანტიპის" გარყვნილი ფესტივალი, მეორედ გაგვაფრთხილა ღმერთმა და ისევ სავალალო მდგომარეობა მოხდა დარიალის ხეობაში. სწორედ ამ სულიერი ხედვით ვგრძნობდი, რომ შავი ღრუბელი ეფარებოდა ღვთის რჩეულ ქვეყანას და შთანთქმას უპირებდა. სამწუხაროდ, ყოველივე აღსრულდა.

სულით ხორცამდე შეძრული ვარ. ეს დღეები, რომელსაც მივატარებთ, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი სოდომ-გომორის გზაა, ჩვენ კი გულხელდაკრეფილები ვზივართ და შევყურებთ, როგორ ტარდება ზნედაცემულთა ფესტივალი იმ მიწაზე, სადაც ყოვლადწმიდა დედის კვართი ასვენია. ამისთვის გვიბოძა ეს ულამაზესი მხარე ღმერთმა, უფლის მეორედ მოსვლის წინ ასეთი სიბილწე დაგვეხვედრებინა?! ჩვენც დამსახურებულად მივიღეთ სასჯელი ბუნებრივი კატაკლიზმებით: წყალდიდობებით, არნახული სიცხეებით და როგორც აღვნიშნეთ, ორივე შემთხვევაში, 17 მაისს თუ 20 აგვისტოს, დარიალის ხეობაში საბედისწერო ფაქტებით.

**— ხელისუფლებამ ორჯერ არ შეისმინა თქვენი გაფრთხილება და რაც მოხდა, თავადაც ნახეს. იმედი გაქვთ, რომ ამის შემდეგ მაინც გაითვალისწინებენ თქვენს გაფრთხილებას?**

– საქმეც ამაშია, რომ გაითავისოს უგუნურმა, საქართველოს ისტორიის უცოდინარმა ე.წ. ხელისუფლებამ და ყურად იღონ სასულიერო პირთა შეგონება, მინიშნება. დიდი ილია ბრძანებდა: „ერის გადაგვარება მაშინ იწყება, როცა ის თავის ისტორიას ივიწყებსო". კიდევ ერთხელ მკაცრად ვაფრთხილებ მთავრობის წარმომადგენლებს, ღმერთის მოთმენა დიდია და არა უსაზღვრო, დაგვსჯის ისე, რაც მოუვიდა სოდომ-გომორს. 17 მაისი და 20 აგვისტო საზარელი მოსაგონარი დღეებია. ღმერთმა პირდაპირი მინიშნება მოგვცა მოსალოდნელი უბედურებისა და მსგავსი ბილწი ღონისძიების ჩატარება აღარ დაუშვან. ეს ორი რიცხვი ღრმად ჩაიბეჭდება ყოველივე ჩვენგანის გონიერებაში.



„ეს დღეები, რომელსაც მივატარებთ, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი სოდომ-გომორის გზაა, ჩვენ კი გულხელდაკრეფილები ვზივართ და შევყურებთ, როგორ ტარდება ზნედაცემულთა ფესტივალი იმ მიწაზე, სადაც ასვენია ყოვლადწმიდა დედის კვართი. ამისთვის გვიბოძა ეს ულამაზესი მხარე ღმერთმა, უფლის მეორედ მოსვლის წინ ასეთი სიბილწე დაგვეხვედრებინა?! ჩვენც დამსახურებულად მივიღეთ სასჯელი ბუნებრივი კატაკლიზმებით: წყალდიდობებით, არნახული სიცხეებით და დარიალის ხეობაში საბედისწერო ფაქტებით"

**— თქვენი აზრით, რატომ არ უსმენენ ეკლესიას ხელისუფლების წარმომადგენლები, ეკლესიებში აქტიურად დადიან, თითქოს მორწმუნეები არიან...**

– თქვენ მეუბნებით მთავრობის წარმომადგენლები დადიან ეკლესიაში, ეკლესიაში შესვლა ერთია, მაგრამ ღმერთი როგორ მიითვალავს – მეორე. სანთელი ხელში სააკაშვილსაც კი ეჭირა და შედიოდა ეკლესიაში. საპატრიარქოს ზოგიერთი წარმომადგენელი სააკაშვილს „სახელოვან პრეზიდენტს" უწოდებდა, ტაძარში ახლაც დადიან ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ხელი მოაწერა, შეიძლება თავი მართლმადიდებლად ჩათვალოს? საინტერესოა, სულიერი მოძღვარი თუ ჰყავთ, რა აღსარებას აბარებენ. უფალი ბრძანებს: „ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება, გარდა სულიწმიდის გმობისა". მათ, ვინც ხელი მოაწერეს კანონს, როგორ სძინავთ ბალიშზე, მათ ხომ სულიწმიდა დაგმეს. ეკლესიურად ყოველივე უხამსი წარმოდგენა იკრძალება, მით უმეტეს ამ შემთხვევაში ეს მოხდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების მარხვაში. რა სცენარი დაგვიდგეს? არანაირი გამართლება მათ საქციელს არ ეგების. როგორც ვიცით, „კაზანტიპის" ფესტივალი ყირიმში ტარდებოდა. უკრაინის ხელისუფლებამ ყურად არ იღო ეს უმსგავსობა და დღეს ხედავთ, ყირიმი დაკარგა უკრაინამ. რუსეთმა უფლება არ მისცა, იქ ჩაეტარებინათ მათთვის ჩვეული ფესტივალი, აქ კი „სახელოვანმა მამულიშვილებმა" დასავლეთისა და აშშ-ს ყურმოჭრილმა მონებმა ღვთისმშობლის ქვეყანა უბოძეს გართობისთვის. ყოვლად მიუტევებელი ცოდვაა, ამ ფაქტზე კი მართალსა თუ დამნაშავეს, ყველას პასუხი მოგვეთხოვება.

**— ხელისუფლება მარტო ეკლესიის კი არა, ხალხის მოთხოვნებსაც უგულებელყოფს. როგორ ფიქრობთ, ეს სადამდე მიგვიყვანს?**

– მე, როგორც ღვთისმსახური, მთელი შინაგანი გონებით აღვიქვამ ხალხის იმ იმედსა და ხსნის მომავალს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან ელოდნენ. დაბეჩავებული ხალხის მოთხოვნები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". საზოგადოების მოთხოვნა იყო, დაბრუნებოდათ ის ჩამორთმეული ქონება, რომელიც სააკაშვილის ფაშისტურმა რეჟიმმა წაართვა.

გაგრძელება მე-12 გვერდზე

**„სანთელი ხელში სააკაშვილსაც კი ეჭირა და შედიოდა ეკლესიაში. საპატრიარქოს ზოგიერთი წარმომადგენელი სააკაშვილს „სახელოვან პრეზიდენტს" უწოდებდა, ტაძარში ახლაც დადიან ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ვინც ხელი მოაწერა ანტიდისკრიმინაციულ კანონს, შეიძლება თავი მართლმადიდებლად ჩათვალოს? საინტერესოა, სულიერი მოძღვარი თუ ჰყავთ, რა აღსარებას აბარებენ"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ბაქოში საქართველოს მოქალაქე დააკავეს



ბაქოში აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქე, კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიაზე შეიარაღებული თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, 1982 წელს დაბადებული რამილ ჯალილ ოღლუ გასანოვი მაღაზიის მფლობელს პისტოლეტით ემუქრებოდა. სამართალდამცველებმა ის მაღაზიის შენობის დატოვებისთანავე აიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, გასანოვი ბაქოში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. (ფრონტნიუსი)

### საქართველო კიევში ექიმებს გაგზავნის



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, ორი ან სამი ექიმი უკრაინაში ჩავა.

„უკრაინას ვთავაზობთ ექიმი-სპეციალისტების გაგზავნას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებით მომარაგებას, იქაური პაციენტების გადმოყვანას სამკურნალოდ და სარეაბილიტაციოდ და ა.შ. ჩემს კოლეგასთან, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრთან საუბრისას შევთანხმდით, რომ ჩვენგან ჩავა ორი, ან სამი სპეციალისტი", – განაცხადა სერგეენკომ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ივანიშვილმა რამდენი ქვითარი შეიძლება გამოფინოს?"



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია სოციალური ქსელის საშუალებით საყოველთაო აქციას ეხმაურება და აცხადებს, რომ წყლის გადასხმას არ აპირებს, თუმცა თანხას „სოლიდარობის ფონდსა" და „wehelp"-ში გადარიცხავს.

„დღეს ჩამოვფრინდი საქართველოში, თითქმის 2 დღეა გზაში ვართ. სხვათა შორის, სოლიდარობის კონფერენციაზე ვიყავით მე და ჩემი კოლეგები, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება ჩრდ. კორეაში. მითხრეს, რომ ჩიორამ გამომიწვია :))) ამ აქციის წესებს გადავხედე, იდეა – ჩაერთო სოლიდარობის აქციაში და დაეხმარო თანხით ადამიანებს, რომელთაც სჭირდებათ ამიოტროპიული ლატერალური სკლეროზის მკურნალობა-გამოკვლევა, კეთილშობილურია. მე ყველა ტიპის სოლიდარობისა და ქველმოქმედების აქციას ვუერთდები, როგორც წესი, რომლითაც ადამიანებისთვის სიკეთე შეიძლება ვაკეთოთ.

რაც შეეხება ცივი წყლის გადასხმას, როგორც წავიკითხე, წყალს ისხამს ის, ვინც არ იხდის თანხას, ან იხდის მხოლოდ 10 დოლარს. ამიტომ წყალს კი არ გადავისხამ, სოლიდარობის კამპანიაში ჩავერთვები და „wehelp"-ში და ამავე დროს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაფუძნებულ სოლიდარობის ფონდშიც აქტიურად მივიღებ მონაწილეობას. ეს უფრო გასაგებია ჩემთვის და საერთოდ, სიკეთის კეთებას ასეთი აფიშირება და ქვითრების დემონსტრირება არ უხდება... ისე, ბიძინა ივანიშვილმა რამდენი ქვითარი შეიძლება გამოფინოს?! უჩუმრად რომ აკეთებდა სიკეთეს, მადლი არ ჰქონდა ქვითრების გარეშე?

ვისაც შეგვიძლია და როგორც შეგვიძლია, სოლიდარობისა და სიკეთის აქციაში სულ უნდა ვიყოთ ჩართული", – წერს ბესელია „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეთერთმეტე გვერდიდან*

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, სინდისის ქენჯნის გარეშე გაიძახიან, ჩვენ ვინ დავაკავეთო. მიკვირს, რატომ არ უსახელებენ სულხან მოლაშვილს, დავით მირცხულავას, აკაკი ჩხაიძესა და სხვა მრავალ მაღალჩინოსან მსახურს, რომელიც ჩემთან ერთად იყო საპყრობილეში გამომწყვდეული, მით

> **„ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები იგნორირებას უკეთებენ ხალხის მდგომარეობას, პრინციპში არაფერი შეცვლილა, საზოგადოება ისევ შიმშილობს, ისევ ქუჩა-ქუჩა დადიან ლუკმაპურისთვის, მათაც აევსებათ მოთმინების ფიალა, რადგანაც პარლამენტის წარმომადგენლები აცხადებენ: ხალხმა ილაპარაკოს, ჩვენ კი უნდა ვაკეთოთ ის, რასაც გვავალებენო“**

უმეტეს, როგორ აწამებდნენ მათ. ალბათ, გახსოვთ, როგორ არაადამიანურად აწამეს სულხან მოლაშვილი, რა დღეში ჰყავდათ, დღეს კი მათი წარმომადგენლები, მართლაც საშინელი დამნაშავენი, როგორ კომფორტში იმყოფებიან, კომპიუტერსაც კი ითხოვენ. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა იმდენი ხალხი გააქცია საქართველოდან, ვერც ერთი დამპყრობელი ვერ შეძლებდა, საქართველო თითქმის დაიცალა ქართველთაგან. უნიათო ხელისუფლება კი იმას წუხს, სააკაშვილი გაგვექცაო. კატეგორიულად მოვითხოვ, რომ სასწრაფოდ დააპატიმროთ, ვინც აქ გყავთ, გიგა ბოკერიას სახით, ციხის ბუნტთან დაკავშირებით, რომელმაც 8 პატიმარი ჩაცხრილა. ასევე გია ბარამიძე, რომელმაც სვანეთში მშვიდობიანი მოსახლება ჭურვებით ამოხოცა, შემდეგ კი დახოცილთა გვამებზე ქეიფობდა. დააპატიმრეთ მანამდე, სანამ გაგექცევათ, თორემ მერე ესენიც „საძებარი გაგიხდებიან“. ეს სინდისგარეცხილები ტელევიზიით მორალს გვიკითხავენ. მეტიც, ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავენ, საქართველოში აღმშენებლობასა და უზრუნველ ცხოვრებას გვპირდებიან. აი, ცინიზმი და დაცინვა.

მინდა შეგახსენოთ ის, რომ ჩემს დაპატიმრებას 15 ამერიკელი კონგრესმენი უბრძანებდა შევარდნაძეს. ეს ის კონგრესმენებია, რომელთაგან ორმა კონგრესმენმა მამაკაცმა ახლახან ჯვარი დაიწერა. მათი მოთხოვნის პერიოდში, საქართველოს პარლამენტში მიდიოდა მოღალატეთა დიდი მუშაობა, რათა ეროვნება და მამის სახელი გაექროთ, გააქრეს კიდეც. ახლანდელმა ხელისუფლებამ კი საუკუნის ცოდვა ჩაიდინა, ანტიდისკრიმინაციული კანონით, დააკანონა ასეთი ორგანიზაციების უფლებების დაცვა. აი, ასე განვითარდა ერის ტრადიციებისა და სარწმუნოების აღმოფხვრის გეგმა. მე თუ მკითხავთ, საქართველოში ნიურნბერგის მსგავსი სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს, ამას კი ჭეშმარიტი ხელისუფლება სჭირდება და ძლიერი ეკლესია.

პატიმრობამ ჩემი ჯანმრთელობა სერიოზულად შეარყია. მიუხედავად ამისა, ახლაც მაქსიმალურად ვცდილობ, ყოველივე გავაკეთო ჩემი ერის სასარგებლოდ. მე ვერ შევეგუები, ისეთ საქართველოში ცხოვრებას, სადაც საპასუხისმგებლო ადგილებში, სასწავლებლებში მოგვევლინებიან არატრადიციული ორიენტაციის პიროვნებები, სადაც აიკრძალება დედა და მამა, სადაც შვილის აღზრდაში მშობელს პრიორიტეტი არ ექნება, სადაც ლეგალიზებული იქნება პროსტიტუცია, სადაც დასაცინი გახდება ერის ტრადიციები, ოჯახის სიწმინდე, ნათესაური ურთიერთობა, სადაც იქნება დევიზი: „დაე ყველაფერი იყოს ისე, როგორც ჩვენ გვსურს აღვირახსნილობისთვის“, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ასეთი ქვეყანა ვერ იქნება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი.

ახლა ამბობენ, რომ შემოდგომაზე აქციების დაწყებას აპირებენ. უმიზნო აქციას რაიმე მნიშვნელობა და ფასი აქვს? აქცია და ერთობა ისეთი უნდა იყოს, როგორც იყო 2013 წლის 17 მაისს. აი, სწორედ ასეთი სიმრავლე დაახევინებდა უკან ჩვენს „სახელოვან პარლამენტარებს“, რათა არ მიეღოთ სავალალო კანონი, მაგრამ რამდენი ადამიანი გამოვიდა გასაპროტესტებლად, ხომ ვნახეთ.

ისიც ხომ ვნახეთ, რამდენი ადამიანი გამოვიდა „კაზანტიპის“ გასაპროტესტებლად. მე გულისწყრომას გამოვთქვამ ანაკლიისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ, რადგანაც მათ, როგორც ამბობენ, ბანკებიდან ვალი აიღეს, რათა გამდიდრებულიყვნენ. რად უნდათ ასეთი გზით მოპოვებული ფული? ჩვენ ვხედავდით სამეგრელოში მრავალრიცხოვან მიტინგებს „ნაციონალების“ დასაცავად, მაგრამ იქაც სულიერება კოჭლობს. ისევ სააკაშვილის დამქაშები არიან დარჩენილი სასულიერო თუ საერო ცხოვრებაში. კიდევ ვიმეორებ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სათანადო ადგილი არ მიუჩინეს, არ შეაგნებინეს, რა ღალატი აქვთ ჩადენილი, აქციებსა და პროვოკაციებს სწორედ „ნაციონალებისგან“ უნდა მოველოდეთ. ისინი თავის ნებაზე არიან მიშვებულნი და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ.

ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები იგნორირებას უკეთებენ ხალხის მდგომარეობას. პრინციპში, არაფერი შეცვლილა, საზოგადოება ისევ შიმშილობს, ისევ ქუჩა-ქუჩა დადიან ლუკმაპურისთვის, მათაც აევსებათ მოთმინების ფიალა, რადგანაც პარლამენტის წარმომადგენლები აცხადებენ: ხალხმა ილაპარაკოს, ჩვენ კი უნდა ვაკეთოთ ის, რასაც გვავალებენო.

ჩემი ხედვით, მხოლოდ ერთი რამ გადაგვარჩენს და გვიხსნის. ის, რაც დღეს ანაკლიაში ხდება, ქართველი ხალხის დაცინვაა, მამაკაცების დამცირებაა და სარწმუნოების ღალატი. მოვუწოდებ ყველა ქართველს, არავინ ჩაერთოს ამ სიბილწეში, რადგან ხელისუფლება ისე გაკადნიერდა, მართლაც იმას აკეთებს, რაც უნდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელზე ნაკლები ხალხი მივიდა, სამწუხაროდ, მაინც შედგა ეს სიბილწის ფესტივალი. მთავრობამ კეთილი ინებოს და პოლიციის კონტროლი გაამკაცროს ყოველგვარ აღვირახსნილობაზე, არ დაუშვას სიბილწე და ამორალური ქმედება, ამისთვის დავისჯებით მკაცრად, პირველი და უკანასკნელი იყოს მსგავსი ფესტივალები. ერი-ბერი ერთად უნდა დადგეს და გაკეთდეს ოფიციალური მიმართვა, რათა არც იოცნებონ მსგავსის ჩატარებაზე. ჩვენ კი შევთხოვოთ უფალს, ყოვლადწმიდა დედას, რამეთუ ვართ ულირსნი, ცოდვილნი, თავს მოგვახვიეს ეს სიბილწე და ჩვენ უნიათონი აღმოვჩნდით, ვერ გავუწიეთ სათანადო წინააღმდეგობა, ყოველი ჩვენთან შეჭირვებით იცდება. არის საქართველოში პატარა არმია, ვინც მტკიცედ იცავს უფლის მცნებებს, არ უღალატია სარწმუნოებისთვის. ღირსნი ვართ, რა სასჯელიც მივიღეთ უფლისგან, შევთხოვთ, გადაგვირჩინოს მისი რჩეული ერი, ვაღიარებთ ჩვენს შეცოდებას, შეგვინდე უფალო, მსგავსი არ განმეორდეს.

დაბოლოს, ვისარგებლებ თქვენი გაზეთით და მივმართავ იმ პიროვნებებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ და გული შესტკივათ საქართველოსა და სარწმუნოებაზე, ვამცნობ: გლდანის „ა“ მკრ/რ-ში ჩვენ მიერ აშენებულ ტაძარში, რომელიც მოცულობით ყველაზე დიდია თბილისში სამების შემდეგ, ჩვენივე ძალებით შევძელით სამრეკლოს მოპირკეთება, ამჯერად მიმდინარეობს ტაძრის შემოსვა ბოლნისის ტუფის ქვით, ამ საქმეს კოლოსალური თანხა სჭირდება, შევთხოვ ყველას, ვისაც საშუალება აქვს, დაგვეხმაროს ამ საშვილთაშვილო საქმეში, ეს ის ტაძარია, რომელიც თავისი ეზოთი და მიმდებარე ტერიტორიით პატარა სავანეა. ეს ის ტაძარია, სადაც ათონის მთიდან ჩამობრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი დაივანებს, ამას ამბობდა წმიდა გაბრიელ ბერი და მეც ასეთი გამოცხადება მქონდა. მადლობა მას, ვინც წილს დაიდებს ამ ღვთიურ საქმეში. ღმერთმა დაგვლოცოთ!

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**



> **„ისევ სააკაშვილის დამქაშები არიან დარჩენილი სასულიერო თუ საერო ცხოვრებაში. კიდევ ვიმეორებ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სათანადო ადგილი არ მიუჩინეს, არ შეაგნებინეს, რა ღალატი აქვთ ჩადენილი, აქციებსა და პროვოკაციებს სწორედ „ნაციონალებისგან“ უნდა მოველოდეთ. ისინი თავის ნებაზე არიან მიშვებულნი და რასაც უნდათ, იმას აკეთებენ“**



> **„კატეგორიულად მოვითხოვ, სასწრაფოდ დააპატიმროთ ვინც აქ გყავთ, გიგა ბოკერიას სახით, ციხის ბუნტთან დაკავშირებით, რომელმაც 8 პატიმარი ჩაცხრილა. ასევე გია ბარამიძე, რომელმაც სვანეთში მშვიდობიანი მოსახლება ჭურვებით ამოხოცა, შემდეგ კი დახოცილთა გვამებზე ქეიფობდა. დააპატიმრეთ მანამდე, სანამ გაგექცევათ, თორემ მერე ესენიც „საძებარი გაგიხდებიან“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსმა სამხედროებმა გადატაცებულები ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს



გატაცებული მამა-შვილი ავთანდილ და შოთა აწკარუნაშვილები და ილია კუდუხაშვილი რუს სამხედროებს ცხინვალის იზოლატორში ჰყავთ გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მომხდარის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აცნობეს. საქართველოს სამი მოქალაქე სოფელ ხუვალეთიდან 22 აგვისტოს გაიტაცეს.

მამა-შვილი აწკარუნაშვილები, რომლებიც სოფელ ახალსოფლის მკვიდრები არიან, ოკუპანტებმა იმ დროს გაიტაცეს, როცა ისინი ხურვალეთში თივის საყიდლად იყვნენ ჩასული. მათ საოკუპაციო საზღვარი არ გადაუკვეთიათ, პირიქით, რუსი ოკუპანტები გადმოვიდნენ საზღვარს და მამა-შვილი სატვირთო მანქანიანად გაიტაცეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## კიევი ტყვეების გაცვლას არ აპირებს



უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს წარმომადგენლის ანდრეი ლისენკოს განცხადებით, „უკრაინის მთავრობა დონეცკში დატყვევებული სამხედროების გაცვლას არ აპირებს, რადგან ომის პირობებში არ იმყოფება“.

მისი თქმით, ოფიციალური კიევი ტყვეების გასათავისუფლებლად ყველა საჭირო ზომას მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ 24 აგვისტოს, დონეცკში, პრორუსმა სეპარატისტებმა დატყვევებული უკრაინელი სამხედროები ე.წ. „სირცხვილის კორიდორში“ გაატარეს.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოთჩ“-მა აღნიშნულ აქციას დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი უწოდა. (ფრონტნიუსი)

## „მე პირადად მაქვს ბრძოლები ქალზე, ლოცვა მშველის. აბა, ჟოზეფინასავით კაცებზე ხომ არ მექნება ბრძოლა?“



მღვდელმონაზონი ილია ვაშაკიძე „კაზანტიპისა“ და „ტიტლიკანა გოგოების“ სურათებთან სამღვდელოების დამოკიდებულების მიმართ კრიტიკას გამოთქვამს.

– გამაგიჟებენ, ვერ გავიგე, ეს სამღვდელოება, ჩემი ძმები გამაგიჟებენ, ამ „კაზანტიპის“ და ტიტლიკანა გოგოების სურათებს ისე უყურებენ, გეგონება, წმიდანები იყვნენ და ქალზე ბრძოლა არ ჰქონდეთ. ორი ვარიანტია, ვისაც ქალზე ბრძოლა არა აქვს: 1) ან წმიდანია; 2) ან პედარასტი... წმიდანები ნაღდად არა ვართ... არ მეთანხმებით??? მე პირადად მაქვს ბრძოლები ქალზე, ლოცვა მშველის. აბა, ჟოზეფინასავით კაცებზე ხომ არ მექნება ბრძოლა??? – წერს მამაო.

**pia.ge**

## სტეფანე მღებრიშვილი: „სასულიერო პირთან პოლემიკაში შესვლა არ ნიშნავს ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ აზრის გამოხატვას“



„კაზანტიპის“ საკითხზე „მაესტროს“ ეთერში დეკანოზ ალექსანდრე გალდავას და სტეფანე მღებრიშვილს შორის დებატებს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

– ბევრი ვიფიქრე, დამეიგნორებინა გიჟების არმია, რომლებიც ყოველდღე მემუქრებიან და ათას სიბინძურეს მწერენ, თუ მეპასუხა. ბევრი აზრი მომდის თავში და საიდან დავიწყო, არ ვიცი. ამ სიბინძურეში, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ატეხეს, ჩართვას არ ვაპირებ. ერთს ვიტყვი, რომ სასულიერო პირთან პოლემიკაში შესვლა ყველანაირი ეტიკეტის დაცვით, არ ნიშნავს ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ აზრის გამოხატვას. სასულიერო პირები, ისევე როგორც ჩვენ, ადამიანები არიან და მათთან დიალოგი ან თუნდაც კამათი სავსებით ნორმალურია. მე არც არავისზე ცუდი არაფერი მითქვამს და გადახლეჩილი კრაკადილშიკები თუ ვადაგასული პოლიტიკოსები ნუ ეცდებით ჩემს ხარჯზე საზოგადოებაში ქულების წერას. მით უმეტეს, თუ ეს ცილისწამებაა. ის მოსაზრება, რომ პატრიარქს შევეხე, არის აბსოლუტური ტყუილი და ადამიანების შეცდომაში შეყვანა. გთხოვთ, თუ რელიგიით სპეკულირებთ, ნუ შეიყვანთ ხალხს შეცდომაში. ეს უფრო დიდი ცოდვაა... – წერს მღებრიშვილი.

**pia.ge**

## ლელა კაკულია: „მეწყერი ბევრ სოფელსა და ქალაქს წაიღებს“



წინასწარმეტყველი დარიალის ხეობაში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით საუბრობს.

– კავკასიონი კიდევ ბევრ გვირაბს გადაკეტავს და მიწას წააყრის (ეს მრავალი წლის წინათ მაქვს ნათქვამი). ვხედავ, რელიეფი იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება კიდევ უკეთ დაიცავს საქართველოს საზღვრებს, ისე, რომ იქ სასაზღვრო ჯარის ჩაყენებაც არ დასჭირდება!!! ამას ყველაფერს კოსმოსი აგვარებს. რაც არ უნდა გამოიძიონ გეოლოგებმა, მკვლევარებმა, პროფესორ-აკადემიკოსებმა, პასუხს მაინც ვერ მოძებნიან. იმიტომ, რომ, წესით, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ მოხდება. დარიალის შემთხვევა არის დასაწყისი ამ რელიეფური ცვლილებისა. ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი წყალდიდობები, მეწყერი ბევრ სოფელსა და ქალაქს წაიღებს. რას იზამ, ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია. ნახავთ, როგორ შეიცვლება ყველაფერი. ელოდეთ სიურპრიზებს, – წერს ლელა კაკულია.

**pia.ge**

## ნანუკა ჟორჟოლიანი: ისევ კაბზონი და „ცვეტამუზიკა“ გვირჩევნია?!




ტელეჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, რომ, მისი ინფორმაციით, „კაზანტიპს“ სოციალურ ქსელებში ანტიპიარს უკეთებენ.

– ჩემმა მეგობარმა დამირეკა ახლა, „კაზანტიპზე“ მაგარი არასწორი პიარი მიდისო. ძაან მაგარიაო და საუნდი აქვთ ისეთი მაგარი, გამიკვირდაო. გარემოც მაგარია შექმნილი, ქალაქია აშენებული ხრიოკზეო. ხალხიც ძაან მაგრად ერთობოდაო. ფბ-ზე რა ვიდეოებსაც დებენ, ჩათვალე უბრალოდ ანტიპიარიაო და რა დაგვემართა, ხალხნო. თუ კარგია, ისევ ჩვენთვის არ არის კარგი?! ისევ კაბზონი და „ცვეტამუზიკა“ გვირჩევნია?! – წერს ჟორჟოლიანი.

**news.ge**

## მარიტა როხვაძეს „ჯეოსტარში“ 2011 წელს მოგებული ბინა ახლა გადასცეს



მომღერალმა მარიტა როხვაძემ სოციალურ ქსელში ბინის გასაღების ფოტო გამოაქვეყნა და დაწერა, „აი, სიტყვებით რომ ვერ გადმოვცემ, ისეთი ბედნიერი და გახარებული ვარ.







მადლობა, რომ ყოველი დღე სიურპრიზებით სავსეა“.

მარიტა როხვაძე „ჯეოსტარის“ გამარჯვებული 2011 წელს გახდა. ბათუმში კი ბინა ახლა გადასცეს. საცხოვრებლად გადასვლას რემონტის დამთავრების შემდეგ გეგმავს.

პროექტის მერე მარიტა გარეგნულად ძალიან შეიცვალა. რამდენიმე კილო დაიკლო და არაჩვეულებრივად გამოიყურება. ამას რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტოც ადასტურებს.

საცურაო კოსტიუმში გადაღებული ფოტოს გამოქვეყნების შემდეგ მარიტამ უამრავი მოწონება და კომპლიმენტი დაიმსახურა.





მარიტა როხვაძე შეყვარებულია. მისი რჩეული თენგო ცოფურაშვილია. წყვილი ბათუმში ისვენებს და ერთად არაჩვეულებრივად ატარებენ დროს. როგორც ჩანს, მარიტას წონის შენარჩუნებაში სიყვარულიც ეხმარება.

**reitingi.ge**

## რა სიურპრიზს უმზადებენ მზია ორველაშვილი და საშა ოხრიმენკო თავიანთ ქორწილში სტუმრებს



მოცეკვავე მზია ორველაშვილი და პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქორეოგრაფი საშა ოხრიმენკო უკვე ორი წელია, ერთად ცხოვრობენ. მათ ყოველთვის ასახელებენ იმ ბედნიერ წყვილთა შორის, რომლებიც პროექტმა შეახვედრა. წყვილს იმდენად დატვირთული რეჟიმი ჰქონდა, რომ აქამდე ქორწილის გადახდა ვერ მოახერხეს.

მზია ორველაშვილი:

– ქორწილს ვიხდით ჯერ უკრაინაში და მერე საქართველოში. მეჯვარეები ჩვენი უახლოესი უკრაინელი მეგობრები არიან. ქართველმა მეგობრებმა უკრაინაში ჩამოსვლა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს, მაგრამ თბილისში ყველა იქნება! ძალიან ველოდებოდი, მაგრამ ვერ ჩამოვიდნენ. რომელ ცეკვას შევასრულებთ, მაგას ჯერ ვერ ვიტყვი, სტუმრებისთვის სიურპრიზი გვაქვს მომზადებული.

**reitingi.ge**

## გრიგოლ ვაშაძე: „კობზონის მოპატიჟება არ დაგავიწყდეთ ამ გამალებულ აღმშენებლობაში“



საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს ნატოს გენერალური მდივნისა და სარდალ ბრიიდლავის სტატიიდან ციტატა მოჰყავს და მიანიშნებს, რომ ეს პოლიტიკოსისა და სამხედროს მხრიდან არა გულმავიწყობა, არამედ, მისი თქმით, ხელისუფლების დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის დიაგნოზია.

– პირველად I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ერთმა ევროპულმა ქვეყანამ ძალისმიერი გზით მიითვისა მეორე ევროპული ქვეყნის მიწა, – უკრაინაზე დაწერილ სტატიაში განაცხადეს ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა და სარდალმა ბრიიდლავმა.

იკითხავთ: „საქართველო? ჩვენი სუვერენული ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ არ არის ოკუპირებული 90-ანი წლების დასაწყისიდან? იქ სასტიკი ეთნოწმენდა არ არის ჩატარებული რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ? თუ საქართველო ევროპული ქვეყანა არ არის?“

ეს ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსისა და გამოცდილი სამხედროს შეცდომა ან გულმავიწყობა არ გეგონოთ.

ეს ხელისუფლების „დაბალანსებული“ საგარეო პოლიტიკის დიაგნოზია, თუ განაჩენი არა.

ასეა: არ ახსენებ – არ გახსენებენ. ან დასავლეთთან და უკრაინასთან გულწრფელი მოკავშირეობა, ან გრიშა ლეპსი და ერგნეთის ბაზრობა.

პ.ს. კობზონის მოპატიჟება არ დაგავიწყდეთ ამ გამალებულ აღმშენებლობაში, – წერს გრიგოლ ვაშაძე „ფეისბუკის“ გვერდზე.

**newposts.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– თქვენ რა, ისევ მეკამათებით?!
– დიახ!
– და რაიმე მყარი არგუმენტი თუ გაქვთ?
– რასაკვირველია! აი – აგური!!!

*****

კომუნისტების დროა. კახელი სამსახურს ეძებს. მივა ერთ-ერთ ორგანიზაციაში, სადაც განცხადება დირექტორის სახელზე უნდა დაწეროს. გააფრთხილებენ კახელს: „ჩვენი დირექტორის გვარი ტრანკაძეა, „ნ“ კარგად დაიმახსოვრე, ტრაკაძეთი არ მიმართოოო“.

კახელი მთელი დღე „ნ“-ზე ფიქრობს, დადის და სულ „ნნნნნ“ აკერია პირზე. ბოლოს მივა დირექტორის კაბინეტთან, კარს შეაღებს და კახური კილოთი კითხულობს:
– ამხანაგი პრონჭიაშვილი თქვენა ბრძანდებით?

*****

– ნინიკო, წამო ჩემთან, სექსით დავკავდეთ, რას იტყვი?
– მე ნინიკო არ მქვია!..
– გასაგებია, მაგრამ კითხვა სულ სხვა რამეს ეხებოდა...

*****



– ეს რა საშინელი თოჯინა დაუმაგრებიათ საქორწილო მანქანაზე?
– რა თოჯინა, შე კაცო – პატარძალი იყურება ლუქიდან!..

*****

– მამა, ადექი ახლავე, წადი და „აიფონ 5“ მიყიდე!
– და ჯადოსნური სიტყვა?
– ნინა!
– რა თქვი, ვერ გავიგე?
– შენი საყვარლის სახელი – ნინა! ნინა! ნინა!
– შავი ფერის თუ თეთრი? ჰო, დამცავიც ვიყიდო ბარემ, არა?

*****

– ექიმო, მირჩიეთ რამე, როგორ მოვიქცე – ჩემი ქმარი ძილის დროს დაუსრულებლად ლაპარაკობს და ლაპარაკობს.
– მიეცით საშუალება, დღისით ილაპარაკოს!..

*****

ცოლ-ქმარი კრივს უყურებს.
ქმარმა ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:
– იმედგაცრუებული ვარ, ყველამ სულ რაღაც 3 წუთში დაამთავრა.
ცოლი ნიშნის მოგებით:
– ძალიანაც კარგი! ახლა ხომ ხვდები, რასაც ვგრძნობ ხოლმე!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ,*
*დავით ახობაძის ნახატები*

## 10 მიზეზი, რატომ უნდა სვათ რაც შეიძლება ბევრი წყალი



იმიჯი – არაფერია! წყურვილი – ყველაფერი!.. რაღაც სარეკლამო სლოგანივით კი გამოგვივიდა, თუმცა რომ არ ვცდებით, ახლავე ყველაფერში დაგარწმუნებთ: საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა წყურვილს ჩვეულებრივი სასმელი წყლის დახმარებით იკლავდა, თუმცა თანამედროვე სამყაროში ყველაფერი ისე ადვილად აღარ ხდება, რადგან დღეს ხომ მსოფლიოს გაზირებული სასმელები, ალკოჰოლი და კოფეინი მართავს? როცა ადამიანი წყურვილს ჩამოთვლილი საშუალებებით იკლავს, სამწუხაროდ, ავიწყდება, რომ ჩვეულებრივი სასმელი წყალი არა მხოლოდ სასარგებლოა ორგანიზმისთვის, არამედ აუცილებელიც. ბევრი, ალბათ, ვერც წარმოიდგენს, რამდენად აუცილებელია წყალი ჯანმრთელობისთვის, სილამაზისთვის და ფიგურისთვის. აქედან გამომდინარე, ბრიტანელმა მეცნიერებმა შეადგინეს იმ მიზეზების ერთგვარი რეიტინგი, რომელთა გათვალისწინებითაც ადამიანმა რაც შეიძლება, ბევრი წყალი უნდა სვას. მაშ ასე, ჩვეულებრივი სასმელი წყალი:

**1.** აუმჯობესებს და აახალგაზრდავებს კანის მდგომარეობას – თანამედროვე მედიცინა უდიდეს თანხებს ხარჯავს კოსმეტიკური საშუალებების შექმნისთვის და ამ პროცესში იგნორირებას უკეთებს ისეთ იაფ და ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა – წყალი. სასმელი წყლის ყოველდღიური მიღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას, ანოტივებს კანს შიგნიდან, ზრდის მის ელასტიკურობას და ეწინააღმდეგება სიმშრალეს.

**2.** ორგანიზმიდან ტოქსინებს დევნის – წყალს საკვების მომნელებელი ტრაქტიდან ტოქსინების გამოდევნა შეუძლია. როგორც ცნობილია, თირკმლები ორგანიზმის ბუნებრივი „ფილტრია“ და ამ ორგანოს შრომისუნარიანობა პირდაპირ კავშირშია სასმელი წყლის მიღებულ რაოდენობასთან.

**3.** ამცირებს გულის შეტევის რისკს – სულ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად ისიც კი დადგინდა, რომ ადამიანებს, რომლებიც დღის განმავლობაში, როგორც მინიმუმ, 5 ჭიქა წყალს მაინც სვამენ, გულის შეტევის რისკი 30-40 პროცენტით უმცირდებათ.



**4.** მყესებისა და კუნთების საუკეთესო „საპოხი“ – წყალი გახლავთ სპეციალური სითხის გამომუშავებისთვის საჭირო ერთ-ერთი მთავარი „მასალა“, რომელიც, თავის მხრივ, მყესებისა და კუნთების „გასაპოხადაა“ საჭირო. სპორტსმენებმა, განსაკუთრებით იმათ, ვინც ძალისმიერ სახეობებს მისდევს, შესანიშნავად იცის, რომ ორგანიზმში წყლის ნაკლებობას კუნთებში საშინელი სპაზმების გამოწვევა შეუძლია. მიუხედავად იმისა, მისდევთ თუ არა სპორტს, მაინც უნდა იცოდეთ, რომ წყალი ნებისმიერი ადამიანის მყესებსა და კუნთებს ესაჭიროება, თანაც, აუცილებლად.

**5.** აღადგენს ენერგიას – საშუალოდ, დღეში ადამიანი დაახლოებით 10 ჭიქა სითხეს კარგავს (ოფლის გამოყოფისას, სუნთქვისას, მოშარდვისას და დეფეკაციისას). მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სითხის სულ უმნიშვნელო დანაკარგსაც კი აუცილებლად მოსდევს კონცენტრაციის დაკარგვა, თავის ტკივილები, აზროვნების შეფერხება, გაღიზიანება და დაღლილობის შეგრძნება.

**6.** ეხმარება საკვების მომნელებელ სისტემას – წყალი არა მხოლოდ კუჭში შეკრულობისგან გიხსნით, არამედ საკვების მონელებაშიც დაგეხმარებათ, რაც ამ პროცესისთვის საჭირო ქიმიური რეაქციების პროცესის გააქტიურებით გამოიხატება. ნახშირწყლები და პროტეინები, რომლებსაც ჩვენი ორგანიზმი კვებისას იღებს, სწორედ წყლის დახმარებით გაიწოვება.

**7.** ამცირებს დაავადებებისა და ინფექციების გაჩენის რისკს – ორგანიზმში წყლის ნაკლებობამ შესაძლოა, საშიში დაავადების – უჯრედების ქრონიკული გაუწყლოება გამოიწვიოს, რასაც, თავის მხრივ, იმუნიტეტის განადგურება და სხვადასხვა სახის ვირუსებისა და ინფექციების განვითარება მოჰყვება.

**8.** არეგულირებს სხეულის ტემპერატურას – ვარჯიშის შემდეგ, სპორტსმენები ე.წ. „სპორტულ სასმელებს“ სვამენ, თუმცა ექსპერტები განმარტავენ, რომ სხეულის თერმორეგულირებისთვის ყველაზე საუკეთესო საშუალება ჩვეულებრივი წყალია. საშუალო სტატისტიკური ზრდასრული ადამიანის სხეულის 55-75 პროცენტს წყალი შეადგენს, რომელიც სწორედ ტემპერატურის რეგულირების პროცესზეა პასუხისმგებელი.

**9.** წვავს ცხიმებს და ახალ კუნთებს „აცხობს“ – სპეციალისტების თქმით, გაუწყლოება პროტეინების სინთეზის შეფერხებას იწვევს, არადა, ეს პროცესი კუნთების წარმოქმნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რაც უფრო ნაკლები კალორია დაიწვება, მით უფრო ნაკლები კუნთი ჩამოყალიბდება და შესაბამისად, მეტი ცხიმი დაგროვდება.

**10.** აუმჯობესებს საერთო მდგომარეობას – როცა ექიმი გრიპით ან მწვავე რესპირატორული დაავადების მქონე პაციენტის საწოლთან ამბობს: „რაც შეიძლება, მეტი სითხე მიიღეთო“, მისი სიტყვების ერთ ყურში შეშვება და მეორედან გამოშვება არაფრით შეიძლება, რადგან წყალი სიცხის გაკონტროლებაში გვეხმარება, აღადგენს სითხის ნაკლებობას და ორგანიზმიდან ლორწოს დევნის...

***myjane.ru***

## პრინცესა დიანას თმებისგან... მურაბა მოხარშეს



ჯანდაბა! მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიკულად დაღუპული პრინცესას მიმართ ძალიან ლოიალურად ვართ განწყობილნი, ამ სისულელეს მაინც ვერაფრით აღვიქვამთ – ნუთუ, ადამიანის მიმართ პატივისცემა მაინცდამაინც ასეთი შიზოფრენიული გამოხტომით უნდა დააფიქსირო?!

თურმე ნუ იტყვით და ლონდონში გახსნილა გამოფენა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ექსპონატი პრინცესა დიანას თმებისგან მოხარშული მურაბა ყოფილა.

ცნობილია ისიც, რომ თმების გარდა, მურაბაში გამოყენებულია ჯინი, რძე და შაქარი და რომ მისი შეძენა ნებისმიერ მსურველს 5 ფუნტ სტერლინგად შეუძლია.

ამ უცნაური იდეის ავტორი ბრიტანელი მხატვარი სემ ბომპასი გახლავთ, რომელმაც პრინცესას თმების ბღუჯა „ებეის“ აუქციონზე 10 დოლარად შეიძინა და ცდილობს, გადახდილი თანხა ერთი ორად ამოიღოს.

ალბათ, არც გაგიკვირდებათ, თუკი გეტყვით, რომ მურაბის შეძენის სურვილი უამრავმა ადამიანმა გამოთქვა.

დაბოლოს, აღნიშნულ გამოფენაზე, ასევე, შეხვდებით მურაბას, რომელიც ხეოფსის პირამიდასთან მოგროვილი... ქვიშისგანაა დამზადებული...

მართალი ყოფილა ერთი ცნობილი ქართველი მსახიობი, რომელმაც იხუმრა – შაქარი ფეკალიებს რომ დაამატო, მურაბას ასეც მოხარშავო...

***etotupo.ru***

## მკერდის ზომა და ინტელექტი – კავშირი არსებობს(?)



რაც კაია, კაია, ლამაზი მკერდი და რაც გინდათ, ის თქვით!.. თანაც, ალბათ, არ არსებობს ნორმალური მამაკაცი, ქალის მომხიბვლელ მკერდზე თვალი, როგორც მინიმუმ, ერთი წამით მაინც რომ არ გაექცეს. რთული სათქმელია – თვალია ოხერი თუ მკერდი, მაგრამ დუეტი კი შესანიშნავი გამოსდით და მესამე ხმად ხელებიც თუ დაემატა... იიფ...

პირობითად მკერდი შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დავყოთ: პატარა, საშუალო, დიდი და ძალიან დიდი. დიდს კიდევ არა უშავს, მაგრამ აი, ძალიან დიდი კი იმ წამიერი შეხედვისთვისაც არაფრად ვარგა.

მოკლედ, ისე გაგვიტაცა მკერდზე წერამ, ლამის მთავარი სათქმელი დაგვავიწყდა: თურმე ნუ იტყვით და ამერიკელ მეცნიერებს დაუდგენიათ, რომ მკერდის ზომასა და ქალის ინტელექტს შორის პირდაპირი კავშირი არსებობსო, აბა?!

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში მშვენიერი სქესის 1200-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ჰოდა, დადგინდა, რომ დიდი მკერდის პატრონის (სილიკონიანები მხედველობაში არ მიიღებიან) ინტელექტუალური შესაძლებლობები დანარჩენებთან შედარებით 5-10 პუნქტით მაღალია.

რაც შეეხება თავად კვლევის პროცესს, ზომების მიხედვით, სპეციალისტებმა მოხალისეები რამდენიმე ჯგუფად დაჰყვეს, შემდეგ კი ინტელექტის დასადგენად, სტანდარტული ტესტების შევსება შესთავაზეს.

შედეგები ასეთია: დიდმკერდიანი ქალების პასუხები 10 პუნქტით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დანარჩენების. მეტიც, ვინც ზომების მიხედვით ოქროს შუალედს მიეკუთვნებოდნენ, მოწოდების სიმაღლეზე ვერც მათი ინტელექტი აღმოჩნდა.

რატომ გამოირჩევიან დიდმკერდიანი ქალები გონებრივი შესაძლებლობებით, ამერიკელმა მეცნიერებმა, სამწუხაროდ, შესაბამისი დასკვნა ვერ გამოიტანეს და მხოლოდ მშრალ მონაცემებს დაეყრდნენ, ჩვენ კი გვგონია, რომ მიზეზი ასეთია: აბა, რომელ მამაკაცს დააინტერესებს, წაუკითხავს თუ არა მადის აღმძვრელი მკერდის ფორმების მქონე ქალს მარქსის „კაპიტალი“, ან რას ფიქრობს ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოლოგიურ მიმდინარეობაზე?

***mainfun.ru***

## იძულებით გათხოვებას თავი სქესის შეცვლით დააღწია



ასეთი საშინელი შედეგებიც რომ არ მოჰყვებოდეს შვილების პირად ცხოვრებაში მშობლების ჩარევას, მაინც ყოვლად მიუღებელია და მხოლოდ იმიტომ არა, რომ 21-ე საუკუნეა და ვილაც-ვილაცებმა კომპიუტერული და ინგლისური „დაამუღამეს“. უბრალოდ, ყველას აქვს სრული უფლება, შეუყვარდეს ის ადამიანი, რომელიც მის გულს სურს და ოჯახი თუნდაც ისეთი ახლობლების მითითებით არ შექმნას, როგორიც მშობლები არიან.

ეს უცნაური ფაქტი ინდოეთში დაფიქსირდა, სადაც 30 წლის გასათხოვარი ქალი, მშობლებს არასასურველ მამაკაცზე რომ არ დაექორწინებინათ, სახლიდან გაიპარა და სქესის შეცვლის ოპერაცია ჩაიტარა.

– ახლა უკვე თავს თავისუფლად ვგრძნობ და ველარავინ მაიძულებს გავთხოვდე ადამიანზე, რომელსაც თვალის დასანახად ვერ ვიტან, – ამბობს კაცად გადაკეთებული ინდუსი ქალი, რომლის ვინაობა, გასაგები მიზეზების გამო, არ ზუსტდება.

იგი ასევე მიიჩნევს, რომ იმისთვის, რათა ქალმა არასასურველ მამაკაცთან ურთიერთობისგან ტანჯვა-წამება არ გამოსცადოს, სქესის შეცვლა ნამდვილად ღირს.

სულაც არ არის გამორიცხული, ამ ინდუსს სექსოლოგიური პრობლემები თავიდანვე ჰქონოდა, მაგრამ იქაურ მედიაში აზუსტებენ, რომ მშობლები მის გათხოვებას მართლა ძალით აპირებდნენ. ჰოდა, აგერ, შედეგიც – ოჯახში ახლა „ვაჟკაცი“ გამოუჩნდათ.

***factroom.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
2. ღია საზაფხულო კაბა
3. გემი ორი კორპუსით
4. ძვ. რომაელი ორატორი, მწერალი
5. გადამდნარი კარაქი
6. ტროპიკული ნაყოფი
7. პატარა რესტორანი საფრანგეთში
8. ერთფეხრიანი სათვალე
9. მსახიობი ... კლოუზი
10. „დორიან ... პორტრეტი“
11. ცურვის სტილი
12. თურქეთის დედაქალაქი
13. არხი ეგვიპტეში
14. ნიშნავს საწინააღმდეგოს
15. ჭურჭელი ზოგადად
16. სიმინდის ყვავილედი
17. მხატვარი კამილ ...
18. მისი დედაქალაქია ტირანა
19. მსახიობი არკადი ...
20. ძაფებით სამართავი თოჯინა
21. გრამატიკის ნაწილი
22. მსახიობი ნასტასია ...
23. ინდიელების ნავი
24. ღამის ფრინველი
25. კომპოზიტორი იან ...
26. კენიის დედაქალაქი
27. ქიმიური ელემენტი
28. ქალაქი ეგვიპტეში
29. სოლჟენიცინი. „არქიპელაგი ...“
30. მსახიობი ... სარაჯიშვილი
31. „მატრიცა“ კიანუ რივზი
32. უნაპირო ზღვა ატლანტის ოკეანეში
33. შვედური საესტრადო ანსამბლი
34. არამჭრელი
35. ქალაქი ინგლისში
36. მოქანდაკე ოგიუსტ ...
37. ოპერა „... დალაქი“
38. გერმანიის დედაქალაქი
39. დაგროვება, მაგალითად ენერგიის
40. ავტომობილი, ანუ ...
41. ნიშნავს თვალით ხილულს
42. მუსიკ. ტემპი
43. მსახიობი სტივენ ...
44. არაკი
45. ვერდის ოპერა
46. მწერალი ... ტოლსტოი
47. მხატვარი სალვადორ ...
48. ლენონის ქვრივი
49. კომპოზიტორი ... კვერნაძე
50. ვაჭრობის თეორია
51. მსახიობი ... დეპი
52. ქალი ... და ბედი ელოდაო
53. პროვინცია ესპანეთში
54. მხ/ფ „შავგური თეთრი ...“
55. საფრანგეთის იმპერატორი
56. თენგიზ აბულაძის ფილმი
57. ინდიელის ფეხსაცმელი
58. „კუკარაჩა“ ... ლალიაშვილი
59. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
60. ოჯახი სოფლად
61. მსახიობი ბრედ ...
62. „უდიპლომო სასიძო“ პერსონაჟი
63. შემოდგომის თვე
64. გეოგრაფიაში: ... და მერიდიანი
65. პოეტი ... ახმატოვა
66. დიუმა. „... დე მონსორო“
67. ციტრუსი
68. რეჟისორი ლარს ფონ ...
69. მხ/ფ „... ტრეისი“
70. რეჟისორი ... ალმოდოვარი
71. მსახიობი პიერ ...
72. საფრენი აპარატი
73. უკრაინული ავტომობილი
74. სახედარი
75. მომღერალი ვალერი ...
76. ... და სიცილი მეგობრები არიანო
77. მდინარე აღმ. საქართ.
78. ნიშნავს ქვას
79. რეჟისორი კლოდ ...
80. მხ/ფ „კერკეტი ...“
81. ყელსაბამი
82. კომპოზიტორი ... რაველი
83. მსახიობი ... რენო
84. ძვირფასი ლითონი
85. მეთილის, ეგივე ... სპირტი
86. მარჯნის კუნძული
87. ზღვის ძუძუმწოვარი
88. მომღერალი ... მატიე
89. ქალაქი საფრანგეთში
90. ერთგვარი ავტომობილი
91. კავშირი, გაერთიანება
92. მუხის ნაყოფი
93. „... მონტე-კრისტო“
94. ათინათი
95. ქალაქი საფრანგეთში
96. პატარა მრგვალი პური
97. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
98. მსახიობი ერიკ ...
99. მსახიობი ლივ ...
100. მდინარე აღმ. საქართ.
101. ჩეხოვი. „... ვანია“
102. კერძების ჩამონათვალი
103. მსახიობი ჯესიკა ...
104. მწერი
105. ზევსის მერიქიფე
106. ნამარხი სპილო
107. ფრინველის რქოვანა პირი
108. საერთო ევროპ. ვალუტა
109. მგალობელი ფრინველი
110. მტაცებელი თევზი ამაზონში
111. ჯიქანი
112. ჟამი
113. ქართ. ეპოსის გმირი
114. სიმბოლიკა: ... და ურო
115. ფრანგი მხატვარი
116. მსახიობი ... თურმანი
117. მსახიობი აიშვარია ...
118. მსახიობი ბენ ...
119. ქიმიური ჭურჭელი
120. ის, ვინც სისხლს გასცემს
121. ეგზოტიკური ფრინველი
122. გემის დიდი ბადე
123. შუამავალი გარიგების დროს
124. პოეტი ... გამზათოვი
125. უღელტეხილი ლიხის ქედზე
126. ბერძ. ანბანის პირველი ასო
127. ... მურომეცი
128. დაღესტნური სოფელი
129. გამარტივებული ინგლისური ენა
130. მდინარე თბილისში
131. მსახიობი ბრუს ...
132. მსახიობი ... დელონი
133. ანტილოპის სახეობა
134. ლუდის მასალა
135. ამირეჯიბი. „... თუთაშხია“
136. მამაკაცი ძიძა
137. ამერიკელების მეტსახელი
138. უნივერსიტეტი ... მატერი
139. თამაში: ... ტაფელა
140. პროდუქტი, ამზადებს ფუტკარი
141. ტოტი, ანუ ...
142. გადაშენებული ფრინველი
143. თქმულება ღმერთებზე
144. მეჩეთი ... სოფია
145. ნადირობის ქალღმერთი
146. მსახიობი ... ვარდალოსი
147. მოგზაური ფრიტიოფ ...

პასუხები: 1. ბალასტი; 2. სარაფანი; 3. კატამარანი; 4. ციცერონი; 5. ერბო; 6. ანანასი; 7. ბისტრო; 8. ლორნეტი; 9. გლენ; 10. გრეის; 11. ბრასი; 12. ანკარა; 13. სუეცი; 14. ანტი; 15. ტარა; 16. ტარო; 17. კორო; 18. ალბანეთი; 19. რაიკინი; 20. მარიონეტი; 21. სინტაქსი; 22. კინსკი; 23. პიროგა; 24. ბუ; 25. სიბელიუსი; 26. ნაირობი; 27. მანგანუმი; 28. ალექსანდრია; 29. გულაგი; 30. ნანული; 31. ნეო; 32. სარგასო; 33. „აბბა“; 34. ბლაგვი; 35. ლივერპული; 36. როდენი; 37. სევილიელი; 38. ბერლინი; 39. აკუმულაცია; 40. მანქანა; 41. მაკრო; 42. გრავე; 43. სიგალი; 44. იგავი; 45. „აიდა“; 46. ლევ; 47. დალი; 48. ონო; 49. ბიძინა; 50. მარკეტინგი; 51. ჯონი; 52. იჯდა; 53. ანდალუსია; 54. ბიმი; 55. ნაპოლეონი; 56. „ვედრება“; 57. მოკასინი; 58. ინგა; 59. გუიმპლენი; 60. კომლი; 61. პიტი; 62. ვარდენი; 63. ნოემბერი; 64. პარალელი; 65. ანა; 66. გრაფინი; 67. ფორთოხალი; 68. ტრიერი; 69. დიკ; 70. პედრო; 71. რიშარი; 72. დირიჟაბლი; 73. „ტავრია“; 74. ვირი; 75. მელაძე; 76. ტირილი; 77. ალგეთი; 78. ლითი; 79. ლელუში; 80. კაკალი; 81. კოლიე; 82. მორის; 83. ჟან; 84. ოქრო; 85. ხის; 86. ატოლი; 87. სელაპი; 88. მირეი; 89. რუანი; 90. სურავანდი; 91. ალიანსი; 92. რკო; 93. გრაფი; 94. სხივი; 95. სევრი; 96. კვერი; 97. ანდორა; 98. ბანა; 99. ტაილერი; 100. ლიახვი; 101. ძია; 102. მენიუ; 103. ალბა; 104. მწერი; 105. განიმედი; 106. მამონტი; 107. ნისკარტი; 108. ევრო; 109. ბულბული; 110. პირანია; 111. ცური; 112. დრო; 113. ამირანი; 114. ნამგალი; 115. მილე; 116. უმა; 117. რაი; 118. აფლეკი; 119. კოლბა; 120. დონორი; 121. კივი; 122. ტრალი; 123. მაკლერი; 124. რასულ; 125. რიკოთი; 126. ალფა; 127. ილია; 128. აული; 129. პიჯინი; 130. მტკვარი; 131. ლი; 132. ალენ; 133. კანა; 134. ალაო; 135. დათა; 136. ლალა; 137. იანკი; 138. ალმა; 139. რიკ; 140. თაფლი; 141. რტო; 142. მოა; 143. მითი; 144. აია; 145. დიანა; 146. ნია; 147. ნანსენი. იკითხება: სოფი მარსო;

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მსოფლიოს ყველაზე სახიფათო კურორტები



ჯერ ისევ არ გასულხართ შვებულებაში? ეგ არაფერი, თქვენი დროც აუცილებლად მოვა და აქედან გამომდინარე, ალბათ, არ გაწყენდათ იმის ცოდნა, მსოფლიოს რომელი კურორტებია სახიფათო და რომელზე ჩასვლა გაგიუფერულებთ შვებულების სასიამოვნოდ და უდარდელად გატარების შესანიშნავ სურვილს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მსოფლიოს ყველაზე სახიფათო კურორტების რეიტინგი ბრიტანული სადაზღვევო კომპანია „ნორვიჩ იუნიონ თრეველის“ შედგენილია და გათვალისწინებულია შემდეგი პირობები: ავარიების ყველაზე მაღალი საფრთხე, ქურდობა, მოწამვლა, ასევე, მომსახურების დაბალი დონე, თაღლითობა და მოკლედ, ყველაფერი, რაც ფულს სულ ტყუილად დაგახარჯვინებთ.

აი, ქვეყნები, სადაც გამგზავრება, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგიჯდეთ:

**ტაილანდი** – სწორედ ამ ქვეყანაში ხდება ყველაზე მეტი ავარია, საკვები პროდუქტებისგან მოწამვლა და ქურდობები.

თუკი მაინც გსურთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყანას ეწვიოთ, ასეთ შემთხვევაში, შემდეგი პირობები გაითვალისწინეთ:



– ნუ დაეთანხმებით საეჭვო ექსკურსიაში მონაწილეობას, რაც არ უნდა ხელმისაწვდომი იყოს ტურის ღირებულება.

– ტაქსით მგზავრობისას დარწმუნდით, რომ მძღოლს დანიშნულების ადგილი კარგად გააგებინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ისეთ ადგილას მოხვდეთ, სადაც მინიმუმ ფულს გამოეთხოვებით.

– კატეგორიულად არ გირჩევთ საკვებისა და სასმელის ქუჩაში შეძენას. ტაილანდური ეგზოტიკის გაცნობა თუ გსურთ, მასაჟი და სპა-პროცედურებიც სრულიად საკმარისია.

**სამხრეთ აფრიკა** – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა, რომელშიც ძალიან ხშირია ტურისტების გაქურდვა, თანაც, იარაღის გამოყენებით. კრიმინოგენური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საშიში ყოფილა სამხრეთ აფრიკის შემდეგი ქალაქები: იოჰანესბურგი, სოუეტო, ჰილბრო, ალექსანდრა და კეტლჰონგი.

გველების კუნძული (ბრაზილია) – სახელწოდებიდანაც ადვილად მიხვდებოდით, რა საფრთხე ბუდობს ჩვენი პლანეტის ამ ნაწილში. მაგალითად, გველების კუნძულზე ბინადრობენ შუბისთავა უხსენებლები. მისი სულ ერთი კბენაც კი ქსოვილების წამიერ გათიშვასა და ფატალურ შედეგს იწვევს. სტატისტიკის თანახმად, კუნძულის 1 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 5 გველი დასისინებს.



**ბარბადოსი** – კარიბის ზღვის აუზის ცნობილი კურორტის რეიტინგში მოხვედრა შხამიანი ტროპიკული მწერების ძალიან დიდმა რაოდენობამ და ასევე, წყლის საშიში ბინადრების – ზვიგენების, სკაროსების და სხვა არსებების არასტუმართმოყვარეობამ განაპირობა, რომელთა გამოც ყოველწლიურად ბარბადოსზე მინიმუმ რამდენიმე ათეული ტურისტი იღუპება.

**ინდოეთი** – მხოლოდ იმ შემთხვევაში ეწვიეთ ინდოეთს, როცა შხამიანი მწერებისგან, ვირუსებისგან და ათასგვარი ინფექციებისგან დამცავ ყველა აცრას ჩაიტარებთ. ინდოეთი სწორედ იმ საშიშ ქვეყანათაგანია, სადაც ტურისტების უეცარ გარდაცვალებას თუნდაც სასმელი წყლის დალევა ან კიდევ, იქაურ მდინარეებსა და ტბებში ბანაობა იწვევს.

**კუბა** – გამოცდილი ტურისტების თქმით, მსოფლიოს ეს ულამაზესი წერტილი საშიშია იმის გამო, რომ ძალიან ადვილია იქ ვენერიული დაავადებებით „დასაჩუქრება“ და ასევე, ნარკოტიკის მოხმარებაზე იმაზე ადრე მიჩვევა, ვიდრე პლაჟამდე მიმავალი გზის გავლას სჭირდება.

*factroom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**26 აგვისტო:** ამ დღის უახლოესი საათები თქვენი საუკეთესო თვისებების გამოხატულებად უნდა იქცეს. თვითრეკლამით არ გაერთოთ, შეიძლება ყველაფერი გააფუჭოთ.

**კურო 22.04-21.05**
**26 აგვისტო:** იღბლის იმედად არ უნდა იყოთ, რადგან ის ბრმაა. როგორც ჩანს, ადრე დაშვებული შეცდომის გამეორებას აპირებთ. გინდათ ეს?

**ტყუპები 22.05-21.06**
**26 აგვისტო:** შეიძლება მავანთა ქილიკის ობიექტად იქცეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რამეს არასწორად აკეთებთ. ყურადღება არავის არ მიაქციოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**26 აგვისტო:** დღეს თქვენ და თქვენი ქმედებები ყველას პირზე ეკერება. თქვენსავე ინტერესებშია, რამე სისულელე არ ჩაიდინოთ, რადგან ამის დამალვას ვერ შეძლებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**26 აგვისტო:** შეიძლება თქვენთვის დღეს რაღაც ახალი და პერსპექტიული დაიწყოს, თუმცა, დასაწყისი მოსაწყენი მოგეჩვენებათ. ამის გამო ახალ შესაძლებლობაზე უარი არ თქვათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**26 აგვისტო:** თუ არ გეშინიათ, რომ თქვენი პირადი ცხოვრების რაღაც ნაწილი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, იმოქმედეთ. ჭორიკანა დედაკაცებს ერიდეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**26 აგვისტო:** ყველაფერი, რაც დღეს მოხდება, სასურველია, ყურადღებით განიხილოთ და გაიაზროთ, რადგან ამას უახლოეს ხანებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

**მორიელი 23.10-21.11**
**26 აგვისტო:** გარეგნულად, ძალიან ადვილად გამოგივათ ის, რაც ერთი შეხედვით, შეუძლებელი ჩანს და ამით ბევრი აღფრთოვანდება. მათ ხომ არ იციან, ამ ყველაფერში რამდენი დრო და ენერგია ჩადეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**26 აგვისტო:** ეს დღე ისეთი აღმოჩნდება, რომელსაც ძალიან დიდი ხნის მანძილზე სიამოვნებით გაიხსენებთ. შეეცადეთ, დღე საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**26 აგვისტო:** შეიძლება შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ თავს არ ზოგავთ, მაგრამ მაინც ერთ ადგილს ტკეპნით. ასეც იქნება, უზომო ენერგიას ხარჯავთ ტყუილად. ტემპი დააგდეთ და სიტუაცია გაიაზრეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**26 აგვისტო:** ყველგან ხელგაშლილი შეგხვდებიან. ამის გამო, იმედი არ გქონდეთ, რომ საყოველთაო მხარდაჭერა გექნებათ. პირიქით, სწორედ მისი ნაკლებობა იქნება თქვენი პრობლემა.

**თევზები 19.02-20.03**
**26 აგვისტო:** კარგად დაფიქრდით, გინდათ კი ის, რის მიღწევასაც ასე დაჟინებით ცდილობთ? რომ მიაღწიოთ და აღმოაჩინოთ, რომ არ გჭირდებათ?

## გამოგონილია ადამიანის მოსალოდნელი ქცევების წინასწარ დადგენის მეთოდი



შესანიშნავია, ბრწყინვალეა და მისასალმებელია, თუკი მართლა გამოვა, რომ მავანი ცალტვინას დაგეგმილ ნაბიჯს წინასწარ შევიტყობთ და ამით ათას უსიამოვნებას ავიცილებთ თავიდან.

როგორც ირკვევა, ადამიანის მოსალოდნელი ქცევების წინასწარ დადგენა რეალობად შესაძლოა, ძალიან მალე იქცეს. ამ მხრივ კი, პირველი ნაბიჯები ლოს-ანჯელესისა და მინესოტას უნივერსიტეტების სპეციალისტებმა გადადგეს, რომლებმაც საჭირო ინფორმაცია თავის ტვინის სკანირების შედეგად მიღებული გამოსახულების საფუძველზე მოიპოვეს.

ცნობილია, რომ ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდა მამაკაცმა და ქალმა მიიღო. ტვინის სკანირებამდე ცოტა ხნით ადრე მათ ჰკითხეს, გამოიყენეს თუ არა წინა დღეებში მზისგან დამცავი კრემი, აპირებენ თუ არა მის მოხმარებას მომდევნო დღეებში და საერთოდ, რას ფიქრობენ აღნიშნული საშუალების შესახებ. ამის შემდეგ, უკვე ტომოგრაფის დაკვირვების ქვეშ, მოხალისეებმა მოისმინეს ლექცია იმავე კრემის მავნებლობასა და კიდევ სრულიად სხვა ფაქტებთან დაკავშირებით. ერთი კვირის გასვლის შემდეგ მეცნიერებმა ექსპერიმენტის მონაწილეები კვლავ დაიბარეს და ტვინის სკანირება ხელახლა ჩაუტარეს, შემდეგ კი კითხვარში იმის ჩაწერა სთხოვეს, აპირებდნენ თუ არა კრემის გამოყენებას უახლოეს მომავალში. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ტვინის ცალკეულ მონაკვეთებზე დაკვირვებით ექსპერტებმა ყველაფერი წინასწარ შეიტყვეს – კითხვარში ჩაწერილი პასუხი და სპეციალისტების მიღებული დასკვნა ერთმანეთის იდენტური აღმოჩნდა.

– თავის ტვინის პრეფრონტარული ქერქის მედიალურ ზონაში აღმოვაჩინეთ მონაკვეთი, რომელიც ადამიანის მოსალოდნელ ქცევას წინასწარ ასახავს, – განმარტავენ ამერიკელი მეცნიერები და ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებას მომავალშიც აპირებენ.

*meganauka.ru*

## მეცნიერებმა კოფეინს დოპინგის სტატუსი მიანიჭეს



– კოფეინის დიდი დოზებით შესაძლებელია კუნთების ძალისა და ადამიანის გამძლეობის მომატება, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა და შესაბამისად, კოფეინს დოპინგის სტატუსი მიანიჭეს.

კერძოდ, ნისლიან ალბიონზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყავას შრომისუნარიანობის გაზრდა 6 პროცენტით შეუძლია, რაც სპეციალისტების განმარტებით, მცირე მაჩვენებელი სულაც არ არის.

სწავლულები აღნიშნავენ, რომ მათი მიგნება განსაკუთრებით საჭირო სპორტსმენებისთვის იქნება, რადგან დღეისთვის კოფეინი აკრძალულ ნივთიერებებს არ განეკუთვნება.

ბრიტანელი მეცნიერები აზუსტებენ იმასაც, რომ კოფეინი ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულირებას ახდენს და სასურველი შედეგის მიღებაც ამგვარად ხდება.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ნინიკოს დაქალი ესტუმრა. სახლში საშინელი არეულობაა.
– ვაიმე, აქ რა მოხდა, გოგო, ჭურჭელი ვინ დაამტვრია?
– მე და ჩემმა ქმარმა ვიჩხუბეთ და...
– და ტახტი რაღამ გატეხა?
– შევრიგდით და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.50